ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 19 ივლისი, 2019 | №169 (8123) | ფასი: 60 თეთრი

წულუკიანი: „რუსთავი 2-ის საქმეში სახელმწიფომ გაიმარჯვა“

გვ.7

ლომჯარია: „იმედია, ტელეკომპანიის ჟურნალისტების თავისუფლება დაცული იქნება“

19 ივლისიდან

რევაზ მიშველაძე

ციყვი ბორბალში

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

დღეს რუსთავი 2-ის საქმესთან დაკავშირებით სარჩელი ირაკლი ოქრუაშვილს შეაქვს

გვ.7

ნიკა გვარამია პაატა სალიას შეხვდა

გვ.4

„მდივანსაც ვთხოვ, ყავა არ გაგიკეთოთ“



გვ.2

„ნიკა გვარამიას მოუნევს ლონდონის არბიტრაჟში ჩასვლა და არა – ქიბარ ხალვაშს“

ლია მუხაშავრია: „წულუკიანის განცხადება საჯარო რეესტრისთვის სიგნალი იყო“

გვ.3

„რუსთავი 2 მთლიანად სხვა არხზე გადავა“

თორნიკე შარაშენიძე: „ეს არის გვარამიას გეგმა ბ“

გურამ ჩალაგაშვილი: „ხელისუფლებას ირაკლი ოქრუაშვილის ეშინია“

გვ.3

პაატა ზაქარეიშვილი: „სტრასბურის სასამართლომ სამართლიანობა აღადგინა“

გვ.2

„ივანიშვილმა „ოცნების“ წინაალმდეგ ჩვენება მისცა“

გვ.4

მეგი გოცირიძე: „ოცნების“ წევრებს კალამს ვერ გააგდებინებ, ისეთ რამეებს დაწერენ ოლიგარქზე“

სამართალი გვ.7

სპეცრაზმელ გიორგი ესიაშვილს 10.000-ლარიანი გირაო შეეფარდა

„სასიამოვნოდ დავრჩით გაკვირვებული“

ვატო გელაშვილს 8.000 გირაო და შინაპატიმრობა შეეფარდა

დიმიტრი გვრიტიშვილი: „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა სია პარლამენტმა რიგგარეშე სესიაზე უნდა განიხილოს“

ეკონომიკა გვ.6

გიორგი ცუცქირიძე: „პრობლემა არა საგარეო-სავაჭრო ბალანსის დეფიციტი, არამედ მისი სიდიდეა“

ბიზნესსექტორი საქმიანობის დაცვის ახალ კანონს აკრიტიკებს

სოსო ფხაკაძე: „პუტინის ავიასანქციებზე“ მცირე და საშუალო ბიზნესს დახმარება აუცილებლად სჭირდება“

ISSN 1987-9385

5 ანა ნაცვლიშვილი: „სასაცილო და დამაზიანებელია იმის ტირაჟირება, რომ სტრასბურის სასამართლო ვინმემ მოისყიდა“

4 თინა ხიდაშელი: „დაუტოვეთ ქიბარ ხალვაშს ის ქაღალდის ფურცელი, აანყოს ტელევიზია და მორჩით ამ „ბიძინამ სტრასბურგი იყიდა“ მარაზმს“

5 თამარ ჩუგოშვილი: „გაუგებარია, რამ უნდა გაიძულოს პოლიტიკოსი, საჯარო მოხელე წაიქეზო დანაშაულის ჩადენაზე“

5 ეკა გიგაური: „რუსთავი 2-ის მეპატრონე არის სხვა პირი და უკვე ამ პირს უნდა ვთხოვოთ, მაქსიმალურად დაიცვას ჟურნალისტების უფლებები“

„ნიკა გვარამიას მოუწევს ლონდონის არბიტრაჟში წასვლა და არა – ქიბარ ხალვაშს“

ლია მუხაშავრია: „წულუკიანის განცხადება საჯარო რეესტრისთვის სიგნალი იყო“

ნათია ხურცილავა

იურისტი **ლია მუხაშავრია** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ტელეკომპანია რუსთავი 2-ის შესახებ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საუბრობს.

– ქალბატონო ლია, სტრასბურის სასამართლოს მიერ რუსთავი 2-ის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე რა შეგიძლიათ გვითხრათ?

– სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილება 100-გვერდიანია. შესაბამისად, პროფესიულად გამართული შეხედულება რომ გითხრათ, 100 გვერდი წაკითხული უნდა მქონდეს.

რაც შეეხება სარეზოლუციო ნაწილს, ეს უკვე იცის მთელმა ქვეყანამ და უკვე გასაგებია, რაც წერია მასში, ანუ რა გადაწყვეტილებაც მიიღო ევროპის სასამართლომ.

სიმართლე გითხრათ, მე მაინტერესებს სამოტივაციო ნაწილი. სამოტივაციო ნაწილს ჯერ არ გავცნობივარ.

– საჯარო რეესტრმა ქიბარ ხალვაში უკვე დაარეგისტრირა რუსთავი 2-ის მესაკუთრედ. გამოდის, აღსრულების ნაწილში სახელმწიფომ დაიწყო მოქმედება?

– როგორც ჩანს, მაგრამ აქ კითხვები მაქვს. ტექსტი ინგლისურ ენაზეა, ჯერ არ არის თარგმნილი. ამდენად, საქართველოს საჯარო რეესტრმა რა ენაზე იხელმძღვანელა? ჯერ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილების სამეწარმეო რეესტრისთვის უნდა მომხდარიყო წარდგენა, რა თქმა უნდა, ქართულ ენაზე და არა ინგლისურზე.

– სამართლებრივად ასე ხდება?

– რა თქმა უნდა! საქართველოში დოკუმენტაციის წარმოება ქართულ ენაზე მიმდინარეობს. როგორ მოასწრეს 100 გვერდის თარგმნა, ეს ჩემთვის გაუგებარია. ითარგმნა კი გადაწყვეტილება თუ ინგლისური ვარიანტი მიიტანეს?! ეს ჩემთვის უცნობია. დროში ძალიან სწრაფად მოხდა და ამიტომ გამიჩნდა ეს კითხვა.

– ხალვაშის ადვოკატი პაატა სალია აცხადებს, რომ წილების გადაფორმებასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრს საკითხის დაჩქარებული წესით განხილვისთვის მიმართეს, რისი შესრულებაც მათთვის სავალდებულო იყო.

– გასაგებია, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილების ტექსტის ინგლისურენოვანი ვარიანტი მიიტანეს?! ეს მაინტერესებს.

მე მაინც ვფიქრობ, რომ თეა წულუკიანის განცხადება უკვე სიგნალი იყო საჯარო რეესტრისთვის, რომ მათ ემოქმედათ.

– პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს, ხალვაშს აქვს უფლება, იუსტიციის სამინისტროს მიმართოს ქონების დარეგისტრირებასთან დაკავშირებით და, თუ ეს მოთხოვნა არ შესრულდება, წულუკიანი, შესაძლოა, პასუხისგებაში მიეცეს. რა კომენტარს გააკეთებთ?

– სასაცილოა, აქ შეუძლებელია, რაციონალური კომენტარი გააკეთო.

– კილაძის განცხადებაზე გეცინებათ?

– დიახ, მეცინება, როგორც ჩანს, ქალბატონი სოფო არასდროს მისულა საჯარო რეესტრში და არ იცის, რა და როგორ ხდება. ან მივიდეს ხვალ ინგლისურენოვანი დოკუმენტებით და, რას როგორ დაურეგისტრირებენ, ვნახავთ.

– ნიკა გვარამიას კონტრაქტთან დაკავშირებით მაინტერესებს თქვენი პოზიცია. კონტრაქტის ცალმხრივად გაწყვეტის უფლება არსებობს. სამართლებრივად შესაძლებელია, ამ შემთხვევაში ასე განვითარდეს მოვლენები?

– დიახ, რა თქმა უნდა, შესაძლებელია! სამართლებრივად ნებისმიერი კონტრაქტის ცალმხრივად გაწყვეტის შესაძლებლობა არსებობს. კიდევ ერთი, გვარამია ამ შემთხვევაში ლონდონის არბიტრაჟით აპელირებდა, იმ ლონდონის არბიტრაჟში მას მოუწევს წასვლა და არა – ქიბარ ხალვაშს.

– ხალვაშს რატომ არა?

– იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ნიკა გვარამიამ უნდა დაამტკიცოს თავისი სიმართლე და არა – ქიბარ ხალვაშმა. აქ ძალიან მარტივია ლოგიკა: თქვენს საკუთარ სახლში სად რას დადგამთ და როგორ მოაწყობთ მას, თუ თქვენ ხართ იმ სახლის მესაკუთრე, ეს უკვე თქვენზეა დამოკიდებული და არა სხვაზე. ეს ლოგიკაა.

– ამ შემთხვევაში დვალისა და აქიმიძის სამართლებრივი პროცესი წყდება თუ ქიბარ ხალვაშის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, მათთან დაკავშირებით როგორ წავა პროცესი?

– სამწუხაროდ, მათი საკუთრების საკითხი არ დამდგარა. დვალმა და აქიმიძემ საქართველოს პროკურატურაში შეიტანეს საქმე. საქართველოს პროკურატურა კი როგორ იძიებს საქმეებს, საზოგადოებამ კარგად იცის. სამაგიეროდ, მათ ხალვაშმა დაასწრო და დღეს კანონიერ მესაკუთრედ ხალვაშია მიჩნეული.

პაატა ზაქარეიშვილი: „სტრასბურის სასამართლომ სამართლიანობა აღადგინა“

ნონა ცაბაძე

სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე „ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, კონფლიქტოლოგი **პაატა ზაქარეიშვილი** პასუხობს.

– ბატონო პაატა, საზოგადოების ერთი ნაწილი აცხადებს, რომ სამართალმა იზეიმა, ხოლო მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ უნდა დაირაზმოს რუსთავი 2-ის გადასარჩენად. როგორია თქვენი შეფასებები?

– მე არც ერთი მხარე არ მიჭირავს, ვარ ნეიტრალური ადამიანი და ვენდობი ევროპულ ინსტიტუტებს. მე ვენდობი ევროპულ სასამართლოს. რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიეღო სტრასბურის სასამართლოს, მას მივემხრობოდი და გავიზიარებდი.

სტრასბურს რომ მიეღო რუსთავი 2-ის სასარგებლო გადაწყვეტილება, ვიტყოდი, რომ ვენდობი ევროპულ ინსტიტუტებს და ამ შემთხვევაშიც ასე ვამბობ.

რადგან ეს გადაწყვეტილება მიიღო, ე.ი. ეს სამართლებრივად სწორი გადაწყვეტილებაა.

– ბიძინამ წაგვართვა რუსთავი 2-ო. სააკაშვილი ასე ამბობს.

– მიშა რომ გამოდის, ამბობს, ბიძინას უნდოდა და წაიღოო. ეს ასე არ არის. ბიძინას რა უნდოდა, ეს ერთია და მეორეა ის, რომ გადაწყვეტილება სამართლიანად იქნა მიღებული.

ჩვენ თუ ვართ ევროპელები, თუ ვართ ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფო, მაშინ უნდა ვენდოთ სტრასბურის სასამართლოს.

მიმაჩნია, რომ თურმე, მართლაც, დღევანდელი მმართველობა იყო უკანონო, წართმეული ჰქონდათ რუსთავი 2 უკანონოდ და ამ გადაწყვეტილებით ის უბრუნდება კანონიერ მმართველს.

მე სწორედ ეს წავიკითხე სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებაში. პატივს ვცემ, ვენდობი და მიმაჩნია, რომ სწორი გადაწყვეტილებაა.

– როგორ განვითარდება პროცესები, მარტივად დათმობს რუსთავი 2-ის ხელმძღვანელობა?

– ახლა ყველაფერი საზოგადოებაზეა დამოკიდებული. ისინი რას დათმობენ და რას – არა, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. თუ ხალხი ქუჩაში გამოვიდა ათასობით და მხარი დაუჭირა დღევანდელ რუსთავი 2-ს, ბუნებრივია, სიტუაცია აიჭრება, დაიძაბება და წავა კიდევ უფრო მეტი ესკალაციისაკენ.

თუმცა, როგორც ჩემთვის, ისე დანარჩენებისთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს არა ის, თუ რომელმა მხარემ გაიმარჯვა, არამედ ის, რომ სამართლიანობა აღდგა და სასამართლომ გაიმარჯვა. არც სააკაშვილმა, არც ივანიშვილმა და არც ხალვაშმა – არავინ არ გაიმარჯვა. გაიმარჯვა სასამართლომ, სამართალმა გაიმარჯვა. ჩემთვის სწორედ ამას აქვს პრინციპული მნიშვნელობა.

– ასე უნდა შეხედოს საზოგადოებამ ამ პროცესს?

– კარგი იქნებოდა. ამიტომ, თუ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ასეთი დამოკიდებულება მისაღები იქნება, მაშინ ძალიან იოლად და უმტკივნეულოდ მოხდება რუსთავი 2-ის გადაცემა ერთი მესაკუთრის მიერ მეორე მესაკუთრისთვის.

– შეიცვლება არხის სარედაქციო პოლიტიკა?

– პირადად მე რუსთავი 2-ს არ ვუყურებ 2004 წლიდან მოყოლებული. ჩემთვის მისი სარედაქციო პოლიტიკა მიუღებელი იყო. ასევე არ ვუყურებ ტელეიმედს. ერთი მხოლოდ დადებით პროცესებზე საუბრობს, მეორე – უარყოფითზე. ამიტომ მნიშვნელოვანია, ჩემნაირი მაყურებელი დაინტერესდება თუ არა რუსთავი 2-ის პოლიტიკით, ანუ მოახერხებს თუ არა, გახდეს ობიექტური.

ობიექტური ტელევიზია უნდა იყოს ფანჯარა. როცა მას ვუყურებ, უნდა ვხედავდე, რა ხდება ქუჩაში. როცა მე ამ ტელევიზიას ვუყურებ, ვერ ვხედავ, რა ხდება ქუჩაში.

– გვარამიამ თქვა, ასე მარტივად დათმობას არ ვაპირებო. რამდენად გაამწვავებენ სიტუაციას?

– რა თქმა უნდა, გამწვავებას შეეცდებიან, მაგრამ, რამდენად გამწვავდება, ამაზე პასუხია ხალხი. ყველაფერი საზოგადოებაზეა დამოკიდებული.

შევარდნაძის დროს, როცა რუსთავი 2-ში შევიდა საგამოძიებო კომისია, მთელი თბილისი ფეხზე დადგა და არა მარტო თბილისი. ამას გადაჰყვა მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა და ჟვანიაც წავიდა სპიკერობიდან.

ახლა სრულიად სხვა სიტუაციაა. მაშინ საზოგადოებამ, მისმა პროტესტმა გამოიწვია ეს კრიზისი. ახლა, არა მგონია, საზოგადოება ასე დაირაზმოს. ეჭვი მეპარება, რომ სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებამ იგივე კრიზისი გამოიწვიოს.

– მეორე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაც გამოიტანა სტრასბურის სასამართლომ ვაზაგაშვილის საქმესთან დაკავშირებით და სახელმწიფოს 50 ათასი ევროს გადახდა დაეკისრა ოჯახისთვის. მოვისმინეთ შეფასებები, რომ ეს კიდევ ერთი ლოდია სააკაშვილის ხელისუფლების გულზე. რას იტყვით თქვენ?

– რა თქმა უნდა, ასეა, რადგან ეს იყო სამარცხვინო და ყოვლად გამოუსწორებელი დანაშაული, ჩადენილი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების დროს.

სტრასბურის სასამართლომ დაადასტურა, რომ ასე იყო. რა თქმა უნდა, ეს არის სევდიანი გამარჯვება, რადგან ამის უკან არის სიკვდილი. ეს არის კიდევ ერთი მტკიცებულება იმისა, ნაციონალურ მოძრაობას როგორ არ ადარდებდა ადამიანების სიცოცხლე.

კი, ჩვენ ვაკრიტიკებთ დღევანდელ სასამართლოს და ბევრი რამე დღესაც მიუღებელია, მაგრამ შედარებაც არ არის ნაციონალური მოძრაობის სასამართლოსა და დღევანდელ სასამართლოს შორის.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გურამ ჩალაგაშვილი: „ხელისუფლებას ირაკლი ოქრუაშვილის ეშინია“

იაგო ნაცვლიშვილი

17 ივლისს პოლიტიკური მოძრაობა „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერის ირაკლი ოქრუაშვილის დაცვის წევრი კობა კოშაძე იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. პოლიტიკურ ძალაში ამბობენ, რომ მას იარაღი ჩაუდეს და ბიძინა ივანიშვილი ოპონენტების წინააღმდეგ რეპრესიებს იწყებს. თავად ოქრუაშვილი კი ამბობს, რომ შეატყობინეს, საქართველოში არ ჩამოვიდეს, თორემ დაიჭერენ, რაზეც მან უარი განაცხადა და შედეგად მისი დაცვის წევრი დააკავეს.

ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „გამარჯვებული საქართველოს“ წარმომადგენელი **გურამ ჩალაგაშვილი** საუბრობს:

– როგორ აფასებთ იმას, როდესაც აკავებენ ირაკლი ოქრუაშვილის დაცვის უფროსს იარაღის უკანონო ტარება-შეძენისთვის და გვითხარით, თუ ატარებდა ხოლმე საერთოდ იარაღს?

– მოდით, თქვენი ნებართვით ბოლოდან დავიწყებ პასუხის გაცემას. კობა კოშაძე არა მხოლოდ ირაკლი ოქრუაშვილის დაცვის წევრია, არამედ ის არის ირაკლის უახლოესი ადამიანი და მეგობარი. 2007 წლიდან მოყოლებული მეგობრობენ. ამ ადამიანის ხელში იარაღი არასდროს არ გვინახავს, მაშინაც კი, როდესაც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების საარჩევნო კამპანიის დროს ოქრუაშვილს თავს დაესხნენ და ესროლეს. მაშინ ეს ადამიანი გადაეფარა. შეგიძლიათ გადაამოწმოთ, რომ მას იარაღი მაშინაც კი არ ჰქონდა.

ძალიან მარტივია ამის ახსნა. მას ჩაუდეს იარაღი და ეს არის რეპრესიების ჩვეულებრივი დაწყება. აგონიაშია ხელისუფლება და არ დარჩენია არაფერი, გარდა იმისა, რომ მაქსიმალურად ებრძოლოს ასეთი ხერხებით თავის პოლიტიკურ ოპონენტებს. დაიწყოს დაჭერები და დაკავებები. მე მგონი, ძალიან დიდი გამოცდილება გვაქვს ამის, თუ როგორ სრულდება ეს ყველაფერი და როგორ უბრუნდებათ ეს მათ. ასე რომ, ეს არის ამ ხელისუფლების დასასრული და ისინი ამაზე პასუხს თავად აგებენ.

– რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს, რომ ეს არის ამ ხელისუფლების დასასრული და, ვთქვათ, კიდევ უფრო დიდი პროცესები არ გველოდება წინ? მაგალითად, ის, რომ არ დაიჭერენ ირაკლი ოქრუაშვილს?

– მინდა გითხრათ, რომ ხელისუფლება, რომელიც ვერ აზროვნებს, სრულ აგონიაშია და მისგან ყველაფერია მოსალოდნელი. ჩვენ არაფერს გამოვრიცხავთ. არც პოლიტიკური გაერთიანება „გამარჯვებული საქართველოს“ სხვა წევრებს, ლიდერებს რომ მიადგნენ იმავენაირი თითიდან გამოწოვილი რაღაცით, „მაკაროვის“ ჩადებით და ა.შ. ეს არის რუსული ნარატივი. ეს უკვე ღია პროცესია ამ ხელისუფლებისთვის, ჩადება და ა.შ. რა თქმა უნდა, ამათგან მოულოდნელი არაფერია, მაგრამ გუშინაც ვთქვი და დღესაც ვიმეორებ, რომ ჩვენ ვართ ძალიან ბევრი, იმაზე ბევრი, ვიდრე ბიძინა ივანიშვილსა და მის უგუნურ ხელისუფლებას ჰგონია. შესაბამისად, ჩვენ არავისი არ გვეშინია. დაწყებულ საქმეს აუცილებლად მივიყვანთ ბოლომდე.

– ელოდებით იმასაც, რომ შესაძლოა ირაკლი ოქრუაშვილი ისევ იმ გზაზე აღმოჩნდეს, როგორც ეს მოხდა 2007 წელს?

კობა კოშაძეს იარაღი ჩაუდეს. არჩევნების დროს ოქრუაშვილს თავს დაესხნენ და ესროლეს. მაშინ ეს ადამიანი გადაეფარა. შეგიძლიათ გადაამოწმოთ, რომ მას იარაღი მაშინაც კი არ ჰქონდა

– არა, ამის თქმა არ მინდა. დღეს ირაკლი ოქრუაშვილი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურაა ოპოზიციაში. ხელისუფლებას მისი ძალიან ეშინია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ოქრუაშვილი მარტოა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენ ძალიან ბევრნი ვართ. ვგულისხმობ არა მხოლოდ „გამარჯვებულ საქართველოს“, არამედ საღად მოაზროვნე პროდასავლურ ოპოზიციას და, არა მგონია, რომ პოლიტიკური ლიდერების დაკავება შერჩეს ხელისუფლებას. ისინი მიიღებენ იმაზე მეტს, ვიდრე მიუღიათ დანარჩენ ხელისუფლებებს.

– როდესაც 2007 წლის გზაზე ვსვამ კითხვას, იმას არ ვგულისხმობ, პროცესი როგორ დამთავრდა, არამედ იმას, რომ ოქრუაშვილი დააკავეს და, სხვათა შორის, მაშინაც არ იყო მარტო.

– კი ბატონო, მაშინაც არ იყო მარტო. მაშინაც დააკავეს მისი მეგობრები, ოჯახის წევრი... რაც მაშინ მოხდა, მოხდა. ამაზე ირაკლი ოქრუაშვილმა არაერთხელ გააკეთა განცხადება. ასე რომ, არა მგონია, ამ ხელისუფლებას ჰქონდეს იმის უნარი, ირაკლი ოქრუაშვილისნაირ ლიდერებს მიადგეს და დაიწყოს მათი დაჭერა, იმიტომ, რომ მათ არ აქვთ ტვინი და ჭკუა, მაგრამ არც უნარი გააჩნიათ.

– ოქრუაშვილმა თქვა, რომ 4 დღის წინ შეუთვალეს მას, არ დაბრუნებულიყო საქართველოში, თორემ დაიჭერდნენ. გასაგებია, რომ არ იტყვით, ვისი მეშვეობით შეგატყობინეს, მაგრამ, ის მაინც გვითხარით, ვისგან, ხელისუფლების რომელი მაღალჩინოსნისგან იყო ეს შეტყობინება?

– სახელსა და გვარს, რა თქმა უნდა, ვერ დაგისახელებთ, მაგრამ, გეტყვით იმას, რომ ირაკლი ოქრუაშვილს ეს ინფორმაცია მივაწოდეთ ზუსტად თათბირისა და მსჯელობის შემდეგ, როდესაც ეს ინფორმაცია შემოუთვალეს ოფისში.

– ანუ ოფისში მოვიდა ინფორმაცია და მერე თქვენ გააგებინეთ ირაკლი ოქრუაშვილს?

– დიახ. ჩვენ ირაკლის ეს ვუთხარით, რაზეც იყო პასუხი, რომ არავის არაფრის არ ეშინია და, როგორც დაგეგმილი იყო, დღეს დილით საქართველოში იქნება. ეს არის გარდაუვალი. რაც შეეხება ინფორმაციის გამომგზავნს, რა თქმა უნდა, ინფორმაცია წამოსულია ბიძინა ივანიშვილისგან. მან კარგად იცის, რომ არც დღეს და არც ხვალ არაფერი გამოუვა და დღეს უკვე ყელში აქვს გაჩხერილი ირაკლი ოქრუაშვილი. მან გააკეთა განცხადება, რომ არანაირ ფასად არ მიჰყიდის ბიძინა ივანიშვილს რუსთავი 2-ს, ვინაიდან მას აქვს ამის ბერკეტი. ურჩევნია, რომ ის აჩუქოს ჟურნალისტებს და საქართველოს ხელისუფლებას. ივანიშვილს საბოლოოდ ეს მცდელობაც ჩაუვარდება. ასეთივე იქნება ყველა მათი მცდელობა, იქნება ეს პოლიტიკური ლიდერების დაკავება თუ სხვა. ისინი არიან სისხლიანი რეჟიმის წარმომადგენლები და მალე წავლენ პოლიტიკურ სანაგვეზე.

– გასაგებია, რომ კონკრეტულ გვარს არ ასახელებთ, მაგრამ, ის მაინც მითხარით, რა რანგის მაღალჩინოსნიდან წამოვიდა?

– ეს იყო ბიძინა ივანიშვილი.

– პირადად ბიძინა ივანიშვილისგან იყო?

– ეს იყო ივანიშვილისგან წამოსული, მაგრამ მას ჰყავს ძალიან ბევრი „შნირი“, ხელისბიჭი, რომლებსაც შეუძლიათ, მისი დანაბარები მიიტანონ კონკრეტულ ადამიანებთან.

– რუსთავი 2-ის გადაცემაზე მოლაპარაკებებს აწარმოებდა ყოფილი გენერალური პროკურორი, როგორც ოქრუაშვილი ამბობს. ხომ არ იყო საჭირო რეაგირების გახმოვანება მაშინ, რათა ახლა არ მოჰყვეს პოლიტიკური ინსინუაციები, რომ პოლიტიკურად იყენებენ ამ თემას და ა.შ?

– ვერ დაგეთანხმებით, რომ პოლიტიკურად ვიყენებთ. ხელისუფლებაა ის, ვინც წლებია, რუსთავი 2-ს ებრძვის და უნდა, რომ როგორმე ეს ტელევიზია გააქროს და ხალხმა არ გაიგოს ის სიმართლე, რაც ქვეყანაში ხდება. აქედან გამომდინარე, ის, რომ ოქრუაშვილმა ეს ინფორმაცია პოლიტიკური ქულების დასაწერად შეინახა, არა მგონია, სიმართლესთან ახლოს იყოს. ირაკლი ოქრუაშვილი გამოცდილი პოლიტიკოსი და რეფორმატორია და ძალიან კარგად იცის, როდის რა და როგორ უნდა აკეთოს.

– თავის დროზე, როცა ხელისუფლებას ჰქონდა ვაჭრობის მცდელობა, მაშინ რატომ არ თქვით, მით უმეტეს, როცა ასეთი სენსიტიური თემაა?

– ვერ დაგეთანხმებით, რომ არ ითქვა. ყველამ ძალიან კარგად იცოდა, რომ ოქრუაშვილს აქვს გარკვეული ბერკეტები რუსთავი 2-თან მიმართებით. მე მგონი, ეს არ ყოფილა დამალული ინფორმაცია და კონკრეტულ დეტალებზე, 1 და 2 კვირის წინ რა მოხდა, 2 კვირაში მოხდა ეს თუ 2 თვეში, ამას დიდი მნიშვნელობა, არა მგონია, რომ ჰქონდეს.

„რუსთავი 2 მთლიანად სხვა არხზე გადავა“

ნონა ცაბაძე

თორნიკე შარაშენიძე: „ეს არის გვარამიას გეგმა ბე“

„ახალი თაობის“ კითხვებს სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში **თორნიკე შარაშენიძე** პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, თქვენთვისაც ცნობილია ამ გადაწყვეტილების შესახებ. საზოგადოების ნაწილს მოსწონს გადაწყვეტილება, ნაწილი უკმაყოფილოა. როგორია თქვენი შეფასებები?

– რაც არის, ეგ არის. გადაწყვეტილება მიღებულია. როგორც მე ვუყურებ, გასაჩივრებას აპირებენ, მაგრამ უკვე ცხადია, რომ ამით დიდი არაფერი შეიცვლება. ეს უნდა მიიღოს რუსთავი 2-ის ხელმძღვანელობამ, ეს უნდა მიიღოს ოპოზიციამაც. რაღაც შეთქმულების თეორიების აგება, რომ რუსებმა მოისყიდეს სტრასბური, სისულელეა და ძალიან სამარცხვინოა. ბუნებრივია, ამაზე საუბარი უნდა დასრულდეს.

– სააკაშვილი მობილიზაციისკენ მოუწოდებს საზოგადოებას, რომ ეს ბოლო ზღვარია, ყველაფერს კარგავენ და ასე შემდეგ.

– კი, ეს გასაგებია, მაგრამ რას უნდა დაუპირისპირდეს საზოგადოება, სტრასბურის გადაწყვეტილებას?! და რა გამოდის, რომ ევროპას ვუპირისპირდებით?! რას ჰგავს ახლა ეს. ეს ხომ აბსურდია.

უნდა გამოძებნონ რაღაც სხვა გზა. არ გამოვა ახლა, შენ აცხადებდე თავს დასავლეთის დიდ მოკავშირედ და დემოკრატიის შუქურად და აქვე მოუწოდო შენს მოსახლეობას, არ დაემორჩილოს სტრასბურის სასამართლოს. ეს არ გამოდის, არ არის სწორი.

– თქვენთვის, როგორც რიგითი მოქალაქისთვის, რამდენად მისაღები იყო ეს გადაწყვეტილება?

– მე იურიდიულ დეტალებში ნამდვილად ვერ შევალ. ჩემთვის, მაგალითად, არის მომენტები, როცა რუსთავი 2 ნამდვილად არ მომწონს და ხშირად არის ხოლმე ეს მომენტები, მაგრამ ქვეყანაში, ბუნებრივია, უნდა არსებობდეს ოპოზიციური ტელეარხი.

– ხელისუფლების ინტერესებში შედიოდა ეს?

– ხელისუფლებისთვის ამით უკეთესი სიტუაცია არ იქნება, მისთვის სასიკეთოდ არაფერი შეიცვლება, არსებობს სხვა ოპოზიციური არხებიც, გადართავს ხალხი და იმ არხზე მოისმენს იმას, რისი მოსმენაც უნდა.

ნაცმოძრაობის ხელისუფლებამაც მთლიანად ჩაიგდო ერთ დროს მთელი მასმედია, მაგრამ 2012 წელს მაინც გამოჩნდა ალტერნატიული არხი მაესტროს სახით და ყველა უყურებდა მაესტროს. ამიტომ ხელისუფლებისთვის ბევრი არაფერი იცვლება.

ხელისუფლებია მთავარი პრობლემა რუსთავი 2 და ნიკა გვარამია არ არის. ნიკა გვარამია ბევრ ადამიანს აღიზიანებდა კიდეც თავისი გამოსვლებით. ხელისუფლების პრობლემა არის არაეფექტური მუშაობა და არა – რომელიმე ტელეარხი.

– გვარამია აცხადებს, კანონიერი გზებით აქედან ვერავინ გამიშვებსო. რამდენად არიან წამსვლელი ესკალაციაზე?

– მე არ ვიცი, გვარამიას რისი იმედი აქვს. სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა და მორჩა. მე არ ვიცი, რის იმედად აპირებს ბრძოლას.

– რადგან ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზეა საუბარი, საზოგადოებაში ნდობაც უფრო მაღალია. აჭყვება გვარამიასა და სააკაშვილს საზოგადოება?

– აი, სწორედ ეს არის საქმე! საზოგადოება, რომელიც იდეაში რუსთავი 2-ს იცავს, არის პროდასავლური და როგორ უნდა დაუპირისპირდეს სტრასბურის გადაწყვეტილებას, ცოტა რთული წარმოსადგენია.

– ანუ რა იქნება?

– იქნება ის, რომ, როგორც მე ვიცი, გვარამიას აქვს გეგმა ბე.

– და რა არის ეს გეგმა ბე?

– ის, რომ სხვა არხზე გადავა რუსთავი 2-ის მთელი შემადგენლობით და ასე გააგრძელებს მაუწყებლობას.

– და რომელია ეს არხი?

– თუ არ ვცდები, ტელეკომპანია მესამე. დიდი ხანია, მიდის ამისთვის სამზადისი. დარწმუნებული ვარ, მათ მშვენივრად იცოდნენ, რაც იქნებოდა. რომც არ სცოდნოდათ, მაინც მოემზადებოდნენ ამისთვის. შესაბამისად, ეს მესამე არხიც ამისთვის შეიქმნა.

ამიტომ ისევ და ისევ ბევრი არაფერი შეიცვლება, უბრალოდ, გადაინაცვლებენ სხვა მაუწყებლობაზე და სხვა არხზე და სულ ეს იქნება.

თავიანთ სათქმელს იქიდანაც იტყვიან.

„ივანიშვილმა „ოცნების“ წინააღმდეგ ჩვენება მისცა“

მეგი გოცირიძე: „ოცნების“ წევრებს კალამს ვერ გააგდებინებ, ისეთ რამეებს დაწერენ ოლიგარქზე“

შორენა მარსაგიშვილი

ვინ დაატარებდა ნაციონალების გადასაბირებლად ტომრებით ფულს, რატომ არის გახარიას გადადგომა სამშობლოს ღალატი, რა ჩვენებებს იძლევა ივანიშვილი „ოცნების“ წინააღმდეგ, ვის ვერ გააგდებინებენ საწერ-კალამს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ პარლამენტის ყოფილი წევრი, ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი **მეგი გოცირიძე** ესაუბრება.

– ამ დღეებში შინაგან საქმეთა მინისტრმა კიდევ ერთი გამაოგნებელი განცხადება გააკეთა. მან გვითხრა, ბიძინა ივანიშვილი დარბევის ბრძანებას როგორ გასცემდა, კაცს 10 საათზე უკვე ეძინაო.

– ბიძინა რომ 10 საათზე იძინებს თავის ლემურებთან ერთად, ეს მთელმა საქართველომ იცის. მთელმა საქართველომ იცის ისიც, რომ დასაძინებლად საღამოს 9 საათიდან იწყებს სამზადისს.

დარწმუნებული ვარ, რომ 20-21 ივნისის ღამეს საერთოდ არ სძინებია, მაგრამ, თუ დაიძინა, კიდევ უფრო უარესი და ვაი მაგის პატრონს. როდესაც ქვეყანაში ასეთი რაღაც ხდება, როგორ უნდა დაიძინო, არ მესმის.

– ის, როგორც თავად ამბობს, რიგითი მოქალაქეა და, ეტყობა, ამ რანგში დაიძინა.

– ჯერ ერთი, რიგითი მოქალაქე არ არის, ის გახლავთ ქვეყნის არაფორმალური მმართველი, ოფიციალურად კი პოლიტიკური პარტიის ლიდერია. იმ ღამეს ყველა პარტიის ლიდერს ეღვიძა და რაღა მაგას დაეცა ძილქუში.

რაც არ უნდა ამტკიცონ, ივანიშვილს მშვიდი და უშფოთველი ძილით ეძინა იმ ღამესო, არავინ დაიჯერებს. გადატრიალებას ისედაც არავინ აპირებდა, მაგრამ, რადგან შს მინისტრი გვეუბნება, ეძინაო, ეს მათგან იმის აღიარებას ნიშნავს, რომ არანაირი გადატრიალება არ ყოფილა.

ჩვენ რომ რაღაც დაგვეპირებინა და რაღაცის საშიშროება ყოფილიყო, ოლიგარქი დაძინებას გაბედავდა? დაიძინებდა კი არა, გავრილოვს გაასწრებდა ქვეყნიდან გაქცევას. გაქცევა ისედაც მალე მოუწევს. მას საქართველოში აღარ დაედგომება.

საკითხავი ის არის, სად შეაფარებს თავს. რამდენადაც ვიცი, მას არც ერთ ქვეყანაში არ წაესვლება.

– რატომ არ წაესვლება?

– სადმე წასასვლელი რომ ჰქონდეს, თქვენი აზრით, სოლოლაკი-ჭორვილა-შეკვეთილის გზებს დატკეპნიდა? ვერსად მიდის იმიტომ, რომ ყველგან რაღაც ჩაიდინა. ამიტომაც ებღაუჭება ასე მწარედ ძალაუფლებას, მაგრამ მაინც მოუწევს მასთან განშორება.

მაგის მონებმა გახარიამ და ჩუბინიძემ შეიძლება თვალები დაგვთხარონ, მაგრამ საბოლოო გამარჯვება მაინც საქართველოს დარჩება.

ერთი თვეა, ხალხი ქუჩაში დგას და გახარიას გადადგომას ითხოვს, ოლიგარქმა კი სისხლიანი ჯალათის ნაცვლად ნიკა გვარამიას გაგდება ცადა.

– ივანიშვილი გახარიას ალბათ არც გაუშვებს, თქვა კიდევაც, მისი გადადგომა სამშობლოს ღალატიაო.

– ეს ის იშვიათი გამონაკლისია, როდესაც ბიძინამ სიმართლე თქვა – შს მინისტრობიდან გახარიას გადადგომა სამშობლოს ღალატია.

– ხუმრობთ?

– ძალიან სერიოზული ვარ.

– რას გულისხმობთ?

– იმას ვგულისხმობ, რომ ივანიშვილის სამშობლო არის რუსეთი. გახარიაც რუსეთის დავალებით არის შს მინისტრად დანიშნული. ის მოსკოვის ბრძანებებს ასრულებს. ახლა რომ გადადგეს, მართლაც სამშობლოს ღალატი იქნება. მკითხველი რომ არ დავაბნიოთ, დავაკონკრეტებ – სამშობლოში რუსეთს ვგულისხმობ. ქოცების სამშობლო ხომ დედარუსეთია.

ამ სამშობლოს ქოცები არ უღალატებენ, საქართველოს კი დიდი ხანია, რაც უღალატეს. თავიანთი ღალატის გადაფარვას ახლა რუსთავი 2-ის გაჩერებით ცდილობენ, მაგრამ ამაოდ ირჯებიან.

ის, რაც ახლა ამ ტელეკომპანიის გარშემო ხდება, ჩვეულებრივი შურისძიებაა ქართველ ხალხზე. ვთქვათ და დახურა რუსთავი 2, რას მიაღწევს? იმ მილიონ ადამიანს რას უზამს, მასზე რომ არის გაბრაზებული?

რუსთავი 2 თუ დახურა და მის ნაცვლად ქოცმადიდებლური არხი გააკეთა, ხალხი გაჭირვებას ვერ იგრძნობს? ადამიანი მაცივარს რომ გამოაღებს და იქ არაფერი დაგხვდება, ამას რა გადაფარავს.

მოღალატეებს ახლა იმის იმედი აქვთ, რომ ჩვენ ბრძოლით დავიღლებით და ამათ დავუტოვებთ ქვეყანას. ეს გამორიცხულია. არსად არ მივდივართ, ბრძოლა იქნება გამარჯვებამდე.

– ივანიშვილი მიიჩნევს, რომ თქვენ ბრძოლის თავი აღარ გაქვთ, ამბობს, რომ აქციებზე 200 კაციც ძლივს გამოგყავთ.

– რა სასაცილო კაცია ეს ივანიშვილი, 200 კაცზე მეტი ვერ გამოგვყავს, არა? მოიცადოს და ნახავს, რამდენი ვართ.

– ამბობს, პროვოკატორები არიან და გავრილოვი საბაბად უნდოდათ, თორემ სხვა დროს რატომ არ გააპროტესტეს რუსების ჩამოსვლა საქართველოშიო.

– ვინ არ გააპროტესტა? პირადად მე არაერთხელ გამიპროტესტებია რუსების შლიგინი ჩემს მიწაზე.

– პირადად თქვენ მაგას ვერავინ დაგაბრალებთ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ისიც საკმარისია, რაც თქვენ მოსკოვის ყოფილ მერს, იური ლუჟკოვს სდიეთ.

– მარტო ლუჟკოვს? ვისი ჩამოსვლაც გავიგე, ყველას ჩამოსვლა გავაპროტესტე. სამწუხაროდ, მოღალატე ხელისუფლებას აქ ჩუმ-ჩუმად ჩამოჰყავს საქართველოს მტრები. ადრე თუ გვიან ივანიშვილი ამაზეც აგებს პასუხს.

რამდენიმე დღის წინ მან ჟურნალისტებს უთხრა, 2016 წელს რუსეთის ფსბ-ს გადამდგარი შეფი იყო ჩამოსულიო. ეს არის, ფაქტობრივად, ჩვენება, რომელიც მან საკუთარი თავისა და პარტიის წინააღმდეგ მისცა.

მარტო 200 კაცი დადის აქციაზეო, რომ უხარია მაგ უბედურს, თავისუფლების მარში რომ ტარდება, რამდენი ათასი კაცი გამოდის? თან არ დაგავიწყდეთ, რომ ხალხის მობილიზებას არც ერთი პარტია, მათ შორის არც ნაციონალური მოძრაობა არ ახდენს.

ნაციონალებმა პარტიული აქტივი რომ გამოიყვანონ, მართლა სხვანაირი სურათი დაიხატება. მინდა, ხიხო ივანიშვილმა იცოდეს, რომ ნაცმოძრაობას მარტო 40.000 ოფიციალური წევრი ჰყავს.

რამდენიმე თვის წინ ზუგდიდის მერის რიგგარეშე არჩევნები ჩატარდა, სადაც 5.000 აქტივისტი ვიყავით ჩასული. და როგორ გგონიათ, რომ მოგვენდომებინა, თბილისში ვერ გამოვიყვანდით? ხალხი აქციებზე თავისი ინიციატივით დადის.

ერთი სიტყვით, ალყაშია ივანიშვილი და რუსთავი 2-ის დახურვით არაფერი შეიცვლება. ჯერ ვერ დახურავს, მაგრამ, რომც დახუროს, ხალხს რას უზამს? გვარამიასაც დახურავს? თუ სხვა ჟურნალისტებს ამოუკერავს პირს. ხალხი მათგან ისევ გაიგებს სიმართლეს.

თქვენი აზრით, მედია საიდან იგებს სკანდალურ ინფორმაციებს ხელისუფლების შავბნელ საქმეებზე. ეს ინფორმაციები ივანიშვილის გუნდიდან გამოდის. არადა, იმ ხალხს, ვინც მაგის გარშემოა, წესით, გუნდი არც უნდა ერქვას. გუნდი სულ სხვა რამეა.

ვინ არის დღეს ივანიშვილის გუნდი, მურუსიძე და ჩინჩალაძე? თუ ძველი ნაციონალები, რომლებიც ქოცებში გადაპორტირდნენ. ამ გაქცეულ ნაცებს ამ დანაშაულებზე ხომ მოუწევს პასუხისგება, მაგრამ იმ 9 წელზეც მოეთხოვება პასუხი, რომლის ხსენებაც ძალიან უყვართ ქოცებს.

– 9 წელზე რატომ მოეთხოვება პასუხი?

– იმიტომ, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრები იყვნენ და თანაც მაღალი პოსტები ეკავათ. ქოცები ხომ ამტკიცებენ, ნაცები სისხლს სვამდნენო.

დიდი ბოდიში და 9 წელი მარტო ჩვენ ვსვამდით სისხლს, ვინც არ გავქოცდით? ეგენი სვამდნენ, თუ სვამდნენ, თან დიდი ფიალით, თორემ რომან გოცირიძე და გრიგოლ ვაშაძე არასდროს შეუმჩნევიათ. ამათი ლოგიკით, თინა ბოკუჩავა სვამდა სისხლს და კაბზონა თალაკვაძე არა? ძალიან კარგად სვამდა და ამაზე აუცილებლად აგებს სხვებთან ერთად პასუხს.

გაქცევით პასუხისმგებლობას ვერ გაექცევიან, ან სად გაიქცევიან, ივანიშვილი მაგათ არსად არ წაიყვანს.

– რატომ არ წაიყვანს?

– ისე მიდის მაგ უბედური მოღალატის საქმე, რომ ქოცების კი არა, შეიძლება, თავისი ცოლის წაყვანაც კი ვერ მოაწროს. თან, არა მგონია, ხელისბიჭებისა და ქალების წაყვანა მოინდომოს. მაგარ შარშია ოლიგარქი და მას თავისი გარემოცვა დაღუპავს.

– ოპოზიციაშიც რომ განხეთქილებაა, ამაზე რას იტყვით?

– ოპოზიციაში არსებულ განხეთქილებაზეც გეტყვით, მაგრამ, მთავარი ისაა, თუ რა ხდება ხელისუფლებაში.

– რა ხდება ხელისუფლებაში ამისთანა?

– რა ხდება და ჯანდაბა, ყველაფერს რომ

თავი დავანებოთ, გუნდიც კი არ ჰყავთ. გუნდი ვიყავით ჩვენ. რა არ გამოვიარეთ, მაგრამ ვერ დაგვშალეს.

– რა არ გამოვიარეთო და რას გულისხმობთ?

– გამოვიარეთ გუნდიდან ოქრუაშვილის წასვლა, ბურჯანაძის წასვლა. დაგვიპირისპირდა პატარკაციშვილიც, მაგრამ გუნდიდან, გუგული მაღრაძის გარდა, არავინ წასულა. აი, გუნდი რა იყო.

– ხელისუფლებაში იყავით და რატომ დაგტოვებდნენ.

– არც ეგრე იყო საქმე. ჩვენი წევრების გადასაბირებლად ტომრებით იყო ფული შემოსული.

– სად იყო ტომრებით ფული შემოსული?

– პარლამენტში. პარლამენტის წევრი ვიყავი და კარგად მახსოვს ეს ამბავი.

– ვინ შემოიტანა?

– პატარკაციშვილის ხალხმა. არ გახსოვთ, მისი ორივე და მაშინ პარლამენტში იყო. ტომრებით შემოიტანეს ფული, რომ ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“ დაეშალათ. ერთი კაციც კი ვერ წაიყვანეს და აი, ეს არის გუნდი.

„ოცნებაზე“ როგორ შეიძლება, კაცმა თქვას, გუნდიაო. მძინარა ოლიგარქი პრემიერებს ცხვირსახოცებივით რომ იცვლის, იქ რა გუნდზე უნდა იყოს ლაპარაკი. ცოტა ხანი მოიცადეთ და ნახეთ, რას იზამს ის ხალხი, ვინც ჯერ კიდევ „ოცნებაშია“ დარჩენილი.

– რას იზამენ?

– კალმებს ვერ გააგდებინებენ ხელიდან, სულ დეტალებში დაწერენ ივანიშვილის შავბნელ საქმეებზე.

ბესელიას უკვე მოღებული აქვს პირი და ათას რაღეს ლაპარაკობს. ხელისუფლება რომ შეიცვლება, მერე ნახავთ, კიდევ რაებს ილაპარაკებს.

რაც შეეხება ოპოზიციაში არსებულ განხეთქილებას, ოპოზიცია არც ყოფილა ერთიანი გუნდი და არ არის სავალდებულო, ერთ მუშტად ვიყოთ შეკრული.

თავის დროზე ივანიშვილმა ნაციონალებიდან წაიყვანა ხალხი და მათზე ყოველთვის ღიად ვიტყვი, რომ მოღალატეები არიან.

არც იმის თქმას მოვერიდები, რომ „ოცნებიდან“ გამოქცეულებიც მოღალატეები არიან. მათ თავის დროზე ქვეყანას უღალატეს. ახლა ძიძიგური რომ განქოცდეს, ტაში უნდა დავუკრა? გამორიცხულია.

ჩემთვის ეს ხალხი მიუღებელია, მაგრამ ახლა ქვეყანას ოლიგარქი უნდა მოვაშოროთ და ერთად გვიწევს დგომა.

ნიკა გვარამია პაატა სალიას შეხვდა

„მდივანსაც ვთხოვ, ყავა არ გაგიკეთოთ“

გუშინ, 18 ივლისს, საღამოს, რუსთავი 2-ში პაატა სალიასა და ნიკა გვარამიას შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრა სპონტანურად შედგა.

სალიას შენობის შესასვლელ კართან ნანუკა ჟორჟოლიანი შეხვდა, რომელმაც მას ნიკა გვარამიას კაბინეტის გზა მიასწავლა. მან სალიას უთხრა, რომ ნიკა გვარამიას არ ჰქონდა ინფორმაცია, რომ მასთან შეხვედრას აპირებდა.

– არაფერში თქვენთან თანამშრომლობას არ ვაპირებ, მდივანსაც ვთხოვ, ყავა არ გაგიკეთოთ. ამ კაბინეტში ჯერ ჩემი პირადი სივრცეა, ვიდრე გავათავისუფლებ. თქვენ აქ მოხვედით დემოკრატიის დასამარხად, ჯობდა, კაბინეტისთვის მოსულიყავით, – უთხრა ნიკა გვარამიამ სალიას.

პაატა სალიამ აღნიშნა, რომ სურს მენეჯმენტთან გასაუბრება, ასევე იმის თქმა, რომ ჟურნალისტების მუშაობაში ჩარევას არ გეგმავს, რაზეც გვარამიამ მიმართა შეკითხვით:

– მე რატომ მაბარებთ ანგარიშს?

აღნიშნულზე სალიამ განმარტა, რომ ასე ხდება ცივილიზებულ ქვეყნებში, როცა ერთ დირექტორს ცვლის მეორე, რასაც უკვე გვარამიას შემდეგი რეპლიკა მოჰყვა:

– ეს ცივილიზებულად მოხდა? რატომ მოხვედით?

– მინდა იმ ადამიანებთან შეხვედრა, ვინც ჩართულია კომპანიის ყოველდღიურ მენეჯმენტში. ვისაუბროთ და განვსაზღვროთ, ხვალიდან რას ვაკეთებთ. რაც შეეხება ჟურნალისტებს, მათ საქმიანობაში არ ვერევი, – მიმართა სალიამ გვარამიას, რაზეც გვარამიას პასუხი იყო: „არ მაინტერესებს, რაში ერევით“.

ნიკა გვარამიას თქმით, ის ახალ დირექტორთან თანამშრომლობას არ აპირებს.

– შენ ხარ თანამშრომელი აფხაზეთიდან ჩვენი გამომგდების და ჩვენი ნათესავებისა და მეგობრების ამომწყვეტის, – მიმართა ნიკა გვარამიამ პაატა სალიას.

თინა ხიდაშელი: „დაუტოვეთ ქიბარ ხალვაშს ის ქაღალდის ფურცელი, ააწყოს ტელევიზია და მორჩით ამ „ბიძინამ სტრასბურგი იყიდა“ მარაზმს“

დაუტოვეთ ქიბარ ხალვაშს ის ქაღალდის ფურცელი, ააწყოს ტელევიზია და მორჩით ამ „ბიძინამ სტრასბურგი იყიდა“ მარაზმს. წააგეთ საქმე, გადაშალეთ ახალი ფურცელი!

ამის შესახებ თავდაცვის ყოფილი მინისტრი თინა ხიდაშელი სოციალურ ქსელში წერს.

– გარეთ 2019 წელია და ამ გადაწყვეტილებზე ისეთი ამბავია, თითქოს სატრიალო ანტენით, შეზღუდულ სივრცეში, ხელით გადასართავ ტელევიზორებზე ორი არხის მიღების შანსი გვქონდეს.

„რუსთავი 2“ ისეთი, როგორიც არის, დიახ იმ ხალხისაა, ვისაც ეს გულსაბნევები უკეთია. მათი გაკეთებულია, მათი შრომისა და ნიჭის შედეგია. ჰოდა, ერთი გუნდი თუ არის და თუ სჯერათ იმ საქმის, რომელსაც ემსახურებიან, საერთოდ არაფერი იცვლება მათთვის ამ გადაწყვეტილებით. სპონსორებსაც გაიყოლებენ, ხარისხსაც გაიყოლებენ, რეკლამასაც.

მგონი, ლოგოსაც კი წაიღებენ. ქიბარის დროს ხომ სხვა ლოგო იყო, გააჩნია, სამართლებრივად როგორ აქვთ მოგვარებული ახალი ლოგოს, ქონებისა და სხვა საკითხები. გამოჩნდება ხალვაშისთვის დაბრუნების მოლოდინში, რამდენად გონივრულად იქცეოდნენ. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, „რუსთავი 2“-ის ხალხია, ვინც იქ მუშაობს და პულტი კი ყველას აქვს დღეს ქვეყანაში. ჰოდა, რა აბჯარი აისხით და ისტერიები. დაუტოვეთ ქიბარს ის ქაღალდის ფურცელი, ააწყოს ტელევიზია და მორჩით ამ ბიძინამ სტრასბურგი იყიდა მარაზმს. წააგეთ საქმე, გადაშალეთ ახალი ფურცელი! – წერს ხიდაშელი.

ანა ნაცვლიშვილი: „სასაცილო და დამაზიანებელია იმის ტირაჟირება, რომ სტრასბურგის სასამართლო ვინმემ მოისყიდა“

სასაცილოა, მეტიც, დამაზიანებელია იმის ტირაჟირება, რომ სტრასბურგიც მოისყიდა, დააშინა და ა.შ. – ასე გამოეხმაურა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილი „რუსთავი 2“-ის საქმესთან დაკავშირებით სტრასბურგის გადაწყვეტილებას.

ასევე, ანა ნაცვლიშვილი აღნიშნავს, რომ მას, როგორც იურისტს ნამდვილად ჰქონდა ინტერესი და სურვილი, რომ სასამართლოს ემსჯელა ყველა იმ საკითხზე, რომლებიც მის წინაშე მოცემულ დავაში დაისვა, ამასთან, ემსჯელა უფრო სიღრმისეულად, განსაკუთრებით გამოხატვის თავისუფლების ნაწილში.

– სადავო საკითხების დიდი ნაწილი სასამართლომ დაუშვებლად სცნო, „რუსთავი 2“ საერთოდ არ დაინახა როგორც სუბიექტი და მის მიერ დაყენებული საკითხებზე საერთოდ არ იმსჯელა. ეს მისი კომპეტენციაა, გააკეთა ის, რაც ჩათვალა სწორად, ჩვენ ახლა მხოლოდ კომენტირება შეგვიძლია (ცხადია, მხარე გაასაჩივრებს ალბათ).

ამასთან: სასაცილოა, მეტიც – დამაზიანებელი იმის ტირაჟირება, რომ სტრასბურგიც მოისყიდა, დააშინა და ა.შ. უნდობლობის გაღვივება ყველა ინსტიტუტის მიმართ და ყოვლისშემძლეობის ტირაჟირება – კიდევ უფრო თრგუნავს მოქალაქეს და არ აძლიერებს არც დასავლურ კურსს, არც ზოგადად დემოკრატიას ამ ქვეყანაში.

ბევრჯერ მითქვამს და გავიმეორებ, რომ „რუსთავი 2“-ის დავა ეროვნულ დონეზე შედგებოდა ორი ნაწილისაგან: რაც ხდებოდა სასამართლო დარბაზში და რაც ხდებოდა მის გარეთ. ვფიქრობ, გადაწყვეტილებაში განსაკუთრებით ეს მეორე კომპონენტი ნაკლებადაა ყურადღებამიქცეული (მათ შორის, ხელისუფლების წარმომადგენელთა ღია განცხადებები „რუსთავი 2“-ზე).

ეროვნულ სასამართლოებში დავის მიმდინარეობის დროს ჩვენ არაერთი გარემოების მომსწრე ვიყავით, რაც ქმნიდა ძალიან დასაბუთებულ ეჭვს იმასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლება პირდაპირ იყო დაინტერესებული დავის შედეგით და ცდილობდა, გავლენა მოეხდინა მასზე. ეს ფაქტებია. მითქვამს და გავიმეორებ, ძალიან საეჭვოა, რომ ხელისუფლებამ ამ დრომდე არ გამოიძია დამფუძნებლების პრეტენზიები ქიბარ ხალვაშის მისამართით. „რუსთავი 2“-თან მიმართებაში მას ჰქონდა ძალიან კონკრეტული დღის წესრიგი და გამოძიების განზრახ გაჭიანურებაც ამ დღის წესრიგის ნაწილია (თუ არ ვცდები, დამფუძნებლების პრეტენზიების გამოძიების ხანდაზმულობის ვადაც უკვე გავიდა).

ეს არის კონკრეტულ დავაზე მიღებული გადაწყვეტილება, სასამართლო არ და ვერ იმსჯელებდა ზოგადად მართლმსაჯულების მდგომარეობაზე საქართველოში. შესაბამისად, ყველა დასაბუთებული პრეტენზია ქართული მართლმსაჯულების მიმართ, რომელიც წლებია არსებობს და არსებობდა „რუსთავი 2“-ის საქმისგან დამოუკიდებლად, რჩება ძალაში. თუ ჯერ კიდევ არ გჯერათ, რა სავალალო დღეშია მართლმსაჯულება – ჩართეთ პირდაპირ ეთერში მოქმედ მოსამართლეებთან ინტერვიუები და დაინახავთ.

მედიაგარემო და კრიტიკული აზრისთვის საარსებო სივრცე საქართველოში პრობლემურია (თუმცა, არის) და ეს ფაქტია. ბევრი გარემოებაა, რაც ამას აჩვენებს, თუნდაც ივანიშვილის გუშინდელი რეპლიკები ჟურნალისტების მისამართით.

ეს გადაწყვეტილება არ აქარწყლებს იმ მძიმე ვითარებას, რაშიც ვართ: ოკუპაცია, უმძიმესი სოციალური და ეკონომიკური ფონი, ძალაუფლების კონცენტრაცია ყველა დონეზე, ანგარიშვალდებულების ნაკლებობა, პოლიტიკური პროცესის ქაოტურობა და დაცლილობა პასუხისმგებლობის, ხედვისა და კომპეტენციებისგან და ა.შ. და ა.შ.

„რუსთავი 2“ თუ ამ თემებს ვეღარ გააშუქებს, ეს არ ნიშნავს, რომ ეს თემები აორთქლდება და გაქრება, – წერს ანა ნაცვლიშვილი სოციალურ ქსელში.

თამარ ჩუგოშვილი: „გაუგებარია, რამ უნდა გაიძულოს პოლიტიკოსი, საჯარო მოხელე წააქეზო დანაშაულის ჩადენაზე“

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის ცალსახა და არ ტოვებს არავითარ სივრცეს ინტერპრეტაციისათვის.

ამის შესახებ პარლამენტის ვიცესპიკერი თამარ ჩუგოშვილი სოციალურ ქსელში წერს.

– ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოაქვეყნა გადაწყვეტილება სამ საქმესთან დაკავშირებით. სამწუხაროდ ტელეკომპანია „რუსთავი 2„-ის საქმეზ საინფორმაციო სივრცეში დაჩრდილა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული 2 უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება (ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ გოგალაძე საქართველოს წინააღმდეგ). აღნიშნულ საქმეებში საქართველო დამარცხდა წინა ხელისუფლების ძალადობრივი და კრიმინალური ქმედებების გამოისობით.

რაც შეეხება „რუსთავი 2“-ის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის ცალსახა და არ ტოვებს არავითარ სივრცეს ინტერპრეტაციისათვის.

გაოგნებული ვარ იმ შეფასებებით რასაც ვისმენ. ზოგიერთი უპასუხისმგებლო პოლიტიკოსის მიერ გაჟღერებული პოზიციის მიხედვით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება განპირობებულია ვლადიმერ პუტინის ევროპულ სტრუქტურებში გავლენით ან კორუფციით. ასევე სრულიად გამოაგნებელია ზოგიერთი პასუხისმგებლიან პოლიტიკოსობაზე პრეტენზიის მქონე პირის საჯარო მოწოდება, რომ სახელმწიფომ არ აღასრულოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან შესრულებისათვის ხელის შეშლა ისჯება თავისუფლების აღკვეთით. სრულიად გაუგებარია, რა პოლიტიკურმა კონიუნქტურამ უნდა გაიძულოს პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკოსი, საჯარო მოხელე წააქეზო სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაზე. მით უმეტეს, იმ პირობებში როდესაც საქმე ეხება ქართული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლის აღსრულებაზე დანესებული შეზღუდვა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლო გააუქმა და ეს გაუქმება არ საჩივრდება, – წერს ჩუგოშვილი.

ნიკა გვარამია: „კონტრაქტზე ვიდავებ და რამდენიმე თვეში იქნება თუ წელიწადში, მოვიგებ 5 მილიონს, რომელსაც ახალ ტელევიზიაში ჩავდებ“

კონტრაქტზე ვიდავებ და რამდენიმე თვეში იქნება თუ წელიწადში, მოვიგებ 5 მილიონს, რომელსაც ახალ ტელევიზიაში ჩავდებ.

ამის შესახებ „რუსთავი 2“-ის ყოფილი გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია აცხადებს.

მისი თქმით, სამართლებრივ დავას გეგმავს, მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვება შესაძლოა არა ხვალ, არამედ „ოდესღაც“ დადგეს.

– კონტრაქტზე მე ვიდავებ ჩვეულებრივად და ეს იქნება რამდენიმე თვის თუ წელიწადის ან წელიწად-ნახევრის მერე, მოვიგებ 5 მილიონს ოდესღაც და ჩავდებ ახალ ტელევიზიაში, – განაცხადა გვარამიამ „რუსთავი 2“-თან საუბარში.

გვარამია დარწმუნებულია, რომ „რუსთავი 2“ ქიბარ ხალვაშის ხელში იქნება მხოლოდ იმ ვადით, რა ვადითაც არის ეს ხელისუფლება.

ეკა გიგაური: „რუსთავი 2“-ის მეპატრონე არის სხვა პირი და უკვე ამ პირს უნდა ვთხოვოთ, მაქსიმალურად დაიცვას ჟურნალისტების უფლებები“

ევროსასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება და ჩვენ ეს გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ, – აღნიშნულის შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა ეკა გიგაურმა განაცხადა.

მისი თქმით, მხარეს აქვს უფლება, რომ გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება, თუმცა ახლა უნდა ვიმოქმედოთ იმ მოცემულობიდან, რაც გვაქვს.

– უკვე „რუსთავი 2“-ის მეპატრონე არის სხვა პირი და შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ უკვე ამ პირს ვთხოვოთ, მაქსიმალურად დაცული იქნას იმ ჟურნალისტების უფლებები, რომლებიც ამ არხზე მუშაობენ. თუკი ახალი მეპატრონის მიზანი მართლაც არის ის, რომ არ გაუშვან სამსახურებიდან ეს ჟურნალისტები და არ შეიცვალოს დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკა, ამ შემთხვევაში არსებობს ძალიან ბევრი საშუალება იმისა, რომ ეს გაკეთდეს. ჩვენ ადრე განვიხილავდით მაგალითად, იგივე ბორდის შექმნას, სადაც ნდობით აღჭურვილი პირები იქნებიან და რომელთა მთავარი მიზანი იქნება ზუსტადაც ჟურნალისტების უფლებების დაცვა, – განაცხადა ეკა გიგაურმა.

რომან გოცირიძე: „სულ მალე „რუსთავი 2“-ის ადგილას მორიგი „ბიძინვიზია“ გაჩნდება“

სტრასბურის სასამართლოს ალოგიკური და უსამართლო გადაწყვეტილებით ქართული მედიის ფლაგმანს ანადგურებენ. სულ მალე მის ადგილას მორიგი „ბიძინვიზია“ გაჩნდება.

ამის შესახებ ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე განაცხადა, რითაც გამოეხმაურა „რუსთავი 2“-ის საქმეზე სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებას. გოცირიძე იმედს გამოთქვამს, რომ ტელეკომპანიის ჟურნალისტებსა და მთელ კოლექტივს საზოგადოება ახალ ეკრანზე იხილავს. ამასთან, გოცირიძე აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის ეს გამარჯვება დამარცხების ტოლფასია.

– „რუსთავი 2“ დამოუკიდებელი საქართველოს თითქმის თანატოლი და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების უდიდესი ფაქტორი იყო. სტრასბურის სასამართლოს ალოგიკური და უსამართლო გადაწყვეტილებით ქართული მედიის ფლაგმანს ანადგურებენ. სულ მალე მის ადგილას მორიგი „ბიძინვიზია“ გაჩნდება. „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტები და მთელი კოლექტივი არის ევროპული ყაიდის პროფესიონალთა გუნდი. დიდი საცოდაობაა, რომ ასეთი ადამიანური სიმდიდრე ერთი ხელის დაკვრით მოშალო. ციფრულ დროში ვცხოვრობთ და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სულ მალე ვიხილავთ ამ ადამიანებს ახალ ეკრანებზე. ივანიშვილისთვის კი ეს ნამდვილად არის პიროსის გამარჯვება, ისეთი გამარჯვება, რომელიც დამარცხების ტოლფასია. რაც შეეხება „რუსთავი 2“-ს, ის აუცილებლად დაუბრუნდება მის კანონიერ მფლობელებს მას შემდეგ, რაც საქართველოში ჩამოყალიბდება დამოუკიდებელი სასამართლო. ეს დრო კი შორს არ არის, – განაცხადა რომან გოცირიძემ.

ანრი ოხანაშვილი: „ჩვენც გვაქვს უფლება, მოვითხოვოთ ჟურნალისტების მხრიდან ეთიკის ელემენტარული წესების დაცვა“

– ჩვენც გვაქვს უფლება, მოვითხოვოთ ჟურნალისტების მხრიდან ეთიკის ელემენტარული წესების დაცვა – პარტიის თავმჯდომარე პასუხობდა და უპასუხებს ყველა შეკითხვას, მაგრამ არსებობს ქცევის წესები.

ამის შესახებ პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილმა განაცხადა.

მან ისაუბრა გუშინდელი შემთხვევის შესახებ, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა მედიასთან კომენტარის გაკეთების დროს ერთერთი ტელევიზიის ჟურნალისტს შენიშვნა რამდენიმეჯერ მისცა.

– თქვენ ფიქრობთ, რომ სხვა ტელევიზიების ჟურნალისტები ნაკლებად კრიტიკულ კითხვებს სვამდნენ იქ, მათ მიმართ არ ჰქონია არანაირი რეაქცია პარტიის თავმჯდომარეს და რით უნდა იყოს ეს განპირობებული? ალბათ იმით, რომ ელემენტარული ჟურნალისტური ეთიკა არსებობს. ყოველთვის ვცდილობ, ჟურნალისტებთან დავიცვა კომუნიკაციისთვის აუცილებელი სტანდარტები და ლოგიკურია, ჩვენც გვაქვს უფლება, მოვითხოვოთ ჟურნალისტების მხრიდან ამ ეთიკის ელემენტარული წესების დაცვა. თმენის ვალდებულება გვაქვს, რომ ვუპასუხოთ თქვენს ყველა შეკითხვას და პარტიის თავმჯდომარე პასუხობდა და უპასუხებს მათ, მაგრამ არსებობს ქცევის წესები – დაასრულებინო რესპონდენტს პასუხი, მოგისმინოს და გაგცეს პასუხი. ეს ელემენტარული ქცევის წესია. არავითარი შეურაცხმყოფელი იქ და კონკრეტული ჟურნალისტის შეურაცხყოფა იქ არ ყოფილა, – განაცხადა ოხანაშვილმა.

იმერეთის გუბერნატორად ზვიად შალამბერიძე დაინიშნა

იმერეთს ახალი გუბერნატორი ჰყავს. იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულად ზვიად შალამბერიძე დაინიშნა. განკარგულებას ხელი პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მოაწერა.

შალამბერიძე მიმდინარე წლის მარტში სახელმწიფო რწმუნებულის პირველ მოადგილედ დაინიშნა. მაისის შემდეგ კი, როცა თანამდებობა შავლეგო ტაბატაძემ დატოვა, რწმუნებულის მოვალეობას ასრულებდა. ზვიად შალამბერიძე 2001-2004 წლებში გაერო-ს განვითარების პროგრამაში მუშაობდა, შემდეგ კი კერძო სექტორში, მათ შორის სადაზღვევო კომპანიებში – „ჯი პი აი ჰოლდინგი“ და „ირაო“. 2015-2019 წლებში შპს „ფრეგოს“ დასავლეთ საქართველოს რეგიონული მენეჯერი იყო.

საბანკო სექტორში 25 ათასამდე ადამიანია დასაქმებული

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2018 წლის ბოლოს საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებში 24.998 ადამიანი იყო დასაქმებული, რაც 145 დასაქმებულით მეტია 2017 წლის ბოლოსთვის დასაქმებულ რაოდენობაზე. 2007 წელთან შედარებით, ბანკებში 10.804 ადამიანი მუშაობს.

საქართველოში სულ 15 კომერციული ბანკი ფუნქციონირებს, რომლებსაც ჯამში 135 ფილიალი და 792 სერვისცენტრი აქვთ. ფილიალებისა და სერვის-ცენტრების 45% თბილისში მდებარეობს. 2018 წლის ბოლოს 4.387 ადამიანი მუშაობდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში, რაც 792 კაცით ნაკლებია 2017 წლის მაჩვენებელზე, ხოლო 900-ით – 2016 წლის დასაქმებაზე.

გიორგი ცუცქირიძე: „პრობლემა არა საგარეო-სავაჭრო ბალანსის დეფიციტი, არამედ მისი სიდიდეა“

„პრობლემა არა საგარეო-სავაჭრო ბალანსის დეფიციტია, არამედ მისი სიდიდე!“ ამ სათაურით აქვეყნებს პოსტს საბანკო-საფინანსო საქმის ექსპერტი, პროფესორი გიორგი ცუცქირიძე სოციალურ ქსელში.

პოსტს კომერსანტი უცვლელად გთავაზობთ:

– პრობლემა არა საგარეო-სავაჭრო ბალანსის დეფიციტია, არამედ მისი სიდიდე!

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში საგარეო სავაჭრო ბრუნვის ზრდასთან ერთად, იზრდებოდა წმინდა ექსპორტი და შესაბამისად, მნიშვნელოვნად მცირდებოდა უარყოფითი სავაჭრო სალდო. ეს დადებითი ტენდენცია შენარჩუნებულია მიმდინარე წელსაც. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური იანვარ-ივნისის თვის საქონლით საგარეო ვაჭრობის წინასწარ მონაცემებს აქვეყნებს, რომლის თანახმადაც, 2019 წლის იანვარ-ივნისში საგარეო სავაჭრო ბუნვაში ექსპორტი 1.775.4 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს და გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 11.5 პროცენტით მეტია, ხოლო იმპორტი შეადგენს რა 4.192.9 მლნ. აშშ დოლარს, პირიქით, 4.9 პროცენტით ნაკლებია, რაც ნიშნავს წმინდა ექსპორტის ანუ იმპორტის ზრდის ექსპორტით გადაფარვის მეტად დადებით ტენდენციას. უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2019 წლის იანვარ-ივნისში 2.417.4 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 40.5 პროცენტი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ თუ 2016 წელს ანალოგიურ პერიოდში უარყოფითი სავაჭრო სალდოს მაჩვენებელი 54.6 % იყო, შემდეგ წლებში კლება იწყო და შარშან 47.7%-მდე შემცირდა, ხოლო წელს პირველი ნახევრის მიხედვით, ისტორიულ მინიმუმზე 40.5 %-მდე ანუ შემცირებულია თითქმის 14%-ით, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, საგარეო მოწყვლადობისა და, შესაბამისად, ლარის კურსზე დაწოლის შემცირების თვალსაზრისით. ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ჩვენი ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, სწორედ მაღალი საგარეო მოწყვლადობის შემცირებაა, რაც ნეგატიურად ზემოქმედებს საგადამხდელო ბალანსის დეფიციტზე, სავალუტო კურსზე და ეკონომიკურ ზრდაზე ზოგადად.

ნიშანდობლივია, რომ სავაჭრო ბალანსის დეფიციტის შემცირება გამოწვეულია როგორც ტრადიციულ დსთ-ის ქვეყნებში, ასევე ევროკავშირის ქვეყნებში წმინდა ექსპორტის ზრდის შედეგად. მაგალითისათვის, 2019 წლის იანვარ-მაისში, საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში 360.9 მლნ. აშშ დოლარის ექსპორტი გავიდა, რაც 22.1 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 24.6 პროცენტს შეადგენს. როგორც ვხედავთ, წმინდა ექსპორტის ზრდის დინამიკა, არის ძალზე პოზიტიური, რაც მომავალ წლებში მხოლოდ დადებითად აისახება ეკონომიკის ზრდაზე;

ამასთან, მსურს, გამოვეხმაურო გირჩის ლიდერ ზურაბ ჯაფარიძის კომენტარსაც, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს განცხადებაზე, რომ ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად კვლავ უარყოფითი სავაჭრო ბალანსი რჩება. მისი შეფასებით, ქვეყანას არასწორი ეკონომიკური კურსი აქვს არჩეული, რადგან უმდიდრეს ქვეყნებს აქვთ უარყოფითი სავაჭრო ბალანსი და ეს მშპ-ზე არ აისახება ნეგატიურად.

მართალია, უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს ისეთ განვითარებულ ქვეყნებს, როგორიცაა აშშ, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი, კანადა თუ ლუქსემბურგი, მაგრამ საგარეო სავაჭრო ბალანსის დეფიციტის თანაფარდობა მშპ-სთან არსად 3%-ზე მეტი არ არის. ევროზონის ქვეყნებში მისი საშუალო მაჩვენებელი საერთოდ დადებითია და 3.0 პროცენტს შეადგენს;

მაღალი სავაჭრო დეფიციტის მაჩვენებელი, საშუალოდ -15%-ე მეტი კი, პირიქით, დაბალი შემოსავლების მქონე განვითარებად ქვეყნებშია, სადაც ერთ სულ მოახლეზე შემოსავლები მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის(PPP) მიხედით 3500 აშშ დოლარზე ნაკლებია,რაც თუნდაც საქართველოსთან შედარებით 3-ჯერ ნაკლებია, განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებზე რომ არაფერი ვთქვათ.

საქართველოში 2006-2007 წლებში შედარებით მაღალი ზრდა მიმდინარეობდა მომსახურების სერვისების განვითარებით, მაგრამ მეორეს მხრივ იმპორტის მკვეთრი ზრდით და ექსპორტის ანუ ადგილობრივი წარმოების შემცირებით. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ 2006-2007 წლებში გვქონდა ყველაზე მაღალი უარყოფითი სავაჭრო ბალანსი. აღსანიშნავია, რომ საგარეო სავაჭრო ბალანსის დეფიციტის თანაფარდობა მშპ-სთან 2006 წელს გაიზარდა 24%-მდე, ხოლო 2007 წელს ანტისარეკორდო 26.6%-ს მიაღწია!. შედარებისათვის აღვნიშნავ, რომ 2017 წელს 0.9%-ს შეადგენდა, ხოლო ბოლო ორ ათწლეულში ყველაზე მაღალი საშუალო მსოფლიო დადებითი მაჩვენებელი სწორედ 2006 წელს იყო 1.19%!

მართალია, სავაჭრო დეფიციტი გარკვეულწილად ბალანსდება ისეთი კომპონენტებით, როგორიცაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მომსახურება, ტურიზმი და ფულადი გზავნილები, თუმცა, მაინც რჩება ეკონომიკური სწრაფი ზრდის და დასაქმების არასაკმარის ფაქტორად. თავის მხრივ, სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება ეკონომიკის მაღალი იმპორტდამოკიდებულებისა და, შესაბამისად, ექსპორტის ზრდითაა შესაძლებელი, რასაც, ორივე შემთხვევაში, ადგილობრივი წარმოების სტიმულირებისაკენ მივყავართ. ამას ეკონომიკური ინკლუზიური ზრდისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემდგომ გაღრმავება გამოწვეული იყო იმით, რომ გასულ წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება დიდწილად ხდებოდა საგარეო ვაჭრობასთან კავშირის არმქონე სექტორებში, მშენებლობასა და მომსახურების სექტორში და არა წარმოებაში.

აქედან გამომდინარე, პრობლემა არა საგარეო-სავაჭრო ბალანსის დეფიციტია, არამედ მისი სიდიდე! – წერს ცუცქირიძე.

კომერსანტი

ბიზნესექტორი საქმიანობის დაცვის ახალ კანონს აკრიტიკებს

დაცვის პოლიცია კერძო დაცვით კომპანიებს ვეღარ შეამოწმებს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ახალი მარეგულირებელი დოკუმენტი შექმნა, ეს კი მას შემდეგ, რაც კერძო დაცვითი კომპანიების სარჩელის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ ერთდროულად დაცვითი საქმიანობის განხორციელება და კომპანიების კონტროლი.

შსს-ს ახალი მარეგულირებელი დოკუმენტის შესაქმნელად დრო 30 ივნისს ამოეწურა, თუმცა კანონპროექტი ისე მოამზადეს და წარადგინეს პარლამენტში, რომ როგორც ბიზნესის ნაწილი ამბობს, კერძო დაცვით კომპანიებს დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ და მეტიც, მათმა ნაწილმა ინფორმაცია ამის შესახებ ჩვენგან შეიტყო.

კანონპროექტის მიხედვით, დაცვის პოლიციის დეპარტამენტს კერძო დაცვითი კომპანიების კონტროლის უფლება აღარ ექნება და მარეგულირებლის ფუნქცია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს „112“-ს გადაეცემა. 112, გარდა ბაზრის კონტროლისა, სამინისტროს ნაცვლად კერძო დაცვითი საქმიანობის ლიცენზიის გაცემასაც უზრუნველყოფს.

ერთ-ერთი მოსარჩელე კერძო დაცვის კომპანია „გიგანტია“, რომლის საფუძველზეც საკონსტიტუციო სასამართლომ დაცვის პოლიციის მარეგულირებლის და დაცვითი საქმიანობის ფუნქციების გამიჯვნის გადაწყვეტილება მიიღო. „გიგანტის“ ხელმძღვანელის შეფასებით, წარმოდგენილი პროექტი ძირეულ ცვლილებებს არ ითვალისწინებს, შესაბამისად, მარეგულირებლის ფუნქციის ერთი უწყებიდან მეორესთვის გადაცემით, თითქმის არაფერი იცვლება.

– ბნელ სივრცეში რომაა ადამიანი, მზის ამოსვლას ელოდება და ამ დროს სანთელს აუნთებენ, აი, ეს არ არის, მეტი არაფერი. ძირეულად თუ არ შეიცვალა კანონი, განსაკუთრებით საჯარიმო ნაწილი, აზრი არ ექნება აბსოლუტურად არაფერს.

ბიზნესის ეს სფერო ასე ვერ განვითარდება. დაცვის სამსახურების ზეწოლის ბერკეტი გადაეცა ერთი სამსახურიდან მეორეს, რომელიც შედის იგივე შინაგან საქმეთა სამინისტროში და პრაქტიკულად ამით არაფერი იცვლება.

არც გამიკვირდება, რომ ის სადამსჯელო ქვედანაყოფი, რომელიც ჰყავდათ დაცვის პოლიციაში, გადაიყვანონ 112-ში და იმავე პიროვნებებმა განახორციელონ მონიტორინგი, – აცხადებს ჯიმშერ პაპაშვილი.

მთავარი შენიშვნა, რაც კერძო დაცვით კომპანიებს აქვთ, საჯარიმო სანქციებს უკავშირდება. როგორც გიგანტის ხელმძღვანელი ამბობს, დაცვის პოლიციის საქმიანობა სადამსჯელო ფუნქციას ატარებდა და შეეძლოთ კომპანიები ელემენტარული ხარვეზის გამო რამდენიმე ათასით დაეჯარიმებინათ.

– ელემენტარულად, შეიძლება, ხელშეკრულებაში ნებისმიერ წერტილ-მძიმეზე, თუ არ მოეწონათ, 5.000-ლარიანი ჯარიმა გამოწერონ. რამდენად ნორმალურია ახლა ეს? ამ კანონის საშუალებით ნებისმიერ სამსახურს, ნებისმიერ დროს დავხურავ, როცა მექნება სურვილი. ყოველ შემთხვევაში ლიცენზიას გააუქმებ იმ მოთხოვნების თანახმად, რაც ამ კანონში წერია. ახლა ეს ნორმალურია? – აცხადებს „გიგანტის“ ხელმძღვანელი.

შსს-ში ამბობენ, რომ „დაცვითი საქმიანობის შესახებ“ კანონში და მის თანმდევ კიდევ 8 კანონში ცვლილებები დებულების დონეზე უკვე მიღებულია და გამოქვეყნებულია კიდეც საკანონმდებლო მაცნეში.

BMG

„როგორ ფიქრობთ, ადამიანი, რომელსაც პირობითად 100 მლნ აქვს, უნდა დარჩეს საპენსიო ფონდში?

„როგორ ფიქრობთ, ადამიანს, რომელსაც პირობითად 100 მლნ აქვს, საპენსიო ფონდში უნდა დარჩეს?“ – ასე გამოეხმაურა პარლამენტის წევრი და სააფთიაქო ქსელ PSP-ს დამფუძნებელი კახა ოქრიაშვილი დაგროვებითი საპენსიო სისტემის დატოვების საკითხს.

როგორც ოქრიაშვილი განმარტავს, საპენსიო ფონდის მიმართ ნდობა აქვს, თუმცა მიიჩნევს, რომ მის მსგავსად მაღალშემოსავლიანმა პირებმა სისტემა უნდა დატოვონ.

– მე მაღალშემოსავლიანი ადამიანი ვარ და, ამავდროულად, დაგროვებითი პენსია არსებობს, რომელიც შენია და არადაგროვებითი პენსიის ნაწილში არსებობს 600 ლარამდე პარლამენტარის პენსია. თქვენ როგორ ფიქრობთ, ეს პენსია უნდა ავიღო, როდესაც მე მილიონობით შემოსავალი მაქვს?

მიმაჩნია, რომ მდიდარმა ადამიანებმა უარი უნდა თქვან ამ საპენსიო ანაზღაურებაზე და პენსია საპენსიო ფონდს დარჩეს. 600 ლარი შესაძლოა არაფერია, მაგრამ ეს სიმბოლური ჟესტია.

ვფიქრობ, რომ საპენსიო რეფორმა აუცილებელი იყო და მხარს ყველა უჭერდა.

ასე, რომ ჩემს პოლიტიკურ და პირად გადაწყვეტილებას ნუ ავურევთ ერთმანეთში. მე დიდი შემოსავლები მაქვს და ზოგადად პენსიაზე უარს ვამბობ. სირცხვილია უბრალოდ, რომ ეს ავიღო, – განმარტა ოქრიაშვილმა.

ცნობისთვის: ქართული ოცნების რიგებიდან საპენსიო სააგენტო მაჟორიტარმა დეპუტატმა კახა ოქრიაშვილმა დატოვა. ის დაგროვებითი პენსიის ერთ-ერთი მხარდამჭერი იყო და კენჭისყრის დროს კანონის მიღებას მხარი დაუჭირა.

bm.ge

რა არის კივანო, რომლის ფასი 28 ლარია



საქართველოში კივანოს წარმოება კახეთში, კერძოდ, ლაგოდეხში „ლოლაძეების ფერმაში“ დაიწყო. როგორც პროდუქტის ამ დროისთვის ერთადერთი მწარმოებელი ლაშა ლოლაძე „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს, კივანოს მოყვანით დაახლოებით 4 წლის წინ დაინტერესდა და ამ დროისთვის უკვე ორ ჰიპერმარკეტს ამარაგებს. რაც შეეხება მის ღირებულებას, 1 კგ კივანო 28 ლარი ღირს.

კივანო, იგივე აფრიკული კიტრი, გოგრისებრთა ოჯახს ეკუთვნის და წარმოშობით აფრიკიდანაა. დღეისთვის მას აწარმოებენ სამხრეთ ამერიკაში, ისრაელში, იტალიასა და ახალ ზელანდიაში.

პროდუქტი გამოიყურება, როგორც 10-15 სმ სიგრძის ეკლებიანი გოგრა, მისი რბილობი მწვანეა და უმეტესად გრძელი, 5-10 მმ სიგრძის მქონე თეთრი თესლები აქვს. საკვებად გამოიყენება როგორც კოქტეილების, ისე ხილის სალათების დასამზადებლად.

– კივანოს პირველი მოსავალი შარშან ავიღეთ, მისი მოყვანით კი დაახლოებით 4 წლის წინ დავინტერესდით. ეს არის საოჯახო ბიზნესი, ვართ მამა და ორი შვილი, რომელთაც მიწის ნაკვეთები გვაქვს ლაგოდეხში. ჩვენი ბრენდის სახელწოდებაა „ლოლაძეების ფერმა, – აცხადებს „ბიზნესპრესიუსთან“ ლაშა ლოლაძე.

მისი თქმით, პროდუქტის ღირებულება საკმაოდ მაღალია და ამ დროისთვის მხოლოდ ორ ჰიპერმარკეტში იყიდება.

– ჩვენს ფერმაში კივანოს დიდი ფართობი არ უკავია. მისი ფასი საკმაოდ მაღალია და ამჟამად მცირე რაოდენობით ვაწარმოებთ. წელს დაახლოებით, ნახევარ ტონა მოსავალს ველოდებით. პროდუქტი მხოლოდ იმ ჰიპერმარკეტებში იყიდება, სადაც ეგზოტიკური ხილისა ბოსტნეულისთვის სპეციალური ადგილია გამოყოფილი, – აცხადებს ლაშა ლოლაძე.

bpn.ge

სოსო ფხაკაძე: „პუტინის ავიასანქციებზე“ მცირე და საშუალო ბიზნესს დახმარება აუცილებლად სჭირდება“

„თითოეულმა მხარემ უნდა ვიმუშაოთ იმისათვის, რომ მაქსიმალურად ნაკლები იყოს ის ნეგატიური ტვირთი, რომელსაც ბიზნესი პრაქტიკაში მიიღებს“.

ამის შესახებ ბიზნეს ასოციაციის (BAG) პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ რუსეთის მიერ დაწესებული ე.წ. ავიასანქციების კომენტირებისას განაცხადა.

– მცირე და საშუალო ბიზნესს კრედიტები აქვს აღებული, ტურისტული სეზონისთვის მოემზადნენ და მათ დახმარება აუცილებლად სჭირდებათ. ჩვენი ამოცანაა, ბიზნესის ადვოკატირება და ამას ყოველთვის გავაკეთებთ, – განმარტა ფხაკაძემ.

მისივე თქმით, ეკონომიკის მინისტრ ნათია თურნავას ინიციატივით, მას და საქართველოს ბიზნესასოციაციას შორის 24 ივლისს გაფართოებული ფორმატით შეხვედრა გაიმართება.

BMG

წულუკიანი: „რუსთავი 2-ის საქმეში სახელმწიფომ გაიმარჯვა“

ლომჯარია: „იმედია, ტელეკომპანიის ჟურნალისტების თავისუფლება დაცული იქნება“

– რუსთავი 2-ის საქმეზე დავა დასრულებულია სახელმწიფოს გამარჯვებით.

ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გუშინ, 18 ივლისს, ბრიფინგზე განაცხადა, სადაც სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაცხადა.

წულუკიანის განცხადებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო რუსთავი 2-ის ყველა სასარჩელო მოთხოვნა.

– ევროპული სასამართლოს 7 მოსამართლისგან შემდგარმა პალატამ გადაწყვიტა შემდეგი: ერთხმად დაადგინა, რომ აღარ არსებობს 2017 წლის მარტში გამოყენებული შეჩერების ღონისძიების მიზანშეწონილობა და ის არის მოხსნილი. დაუშვებლად სცნო სრულად რუსთავი 2-ის ყველა სასარჩელო მოთხოვნა.

დაუშვებლად ცნო, როგორც დაუსაბუთებელი, ძმები ყარამანიშვილებისა და „ტვ საქართველოს“ საჩივარი საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით.

ერთხმად დაადგინა, რომ არ დარღვეულა ძმები ყარამანიშვილებისა და „ტვ საქართველოს“ სამართლიანი სასამართლოს უფლება, რაც უკავშირდება ნინო გვენეტაძეს.

ერთხმად დაუშვებლად ცნო სამივე მომჩივნის, ძმები ყარამანიშვილებისა და „ტვ საქართველოს“ სამართლიანი სასამართლოს ნაწილში არაერთი პრეტენზია. 6 ხმით 1 ის წინააღმდეგ დაადგინა, რომ არ დარღვეულა ძმები ყარამანიშვილებისა და „ტვ საქართველოს“ სამართლიანი სასამართლოს უფლება.

რაც შეეხება მოსამართლეებს ურთმელიძესა და თოდუას. ასევე, ერთხმად დაადგინა, რომ ამ საქმეზე არ არსებობს საჩივრის განხილვის აუცილებლობა ევროპული კონვენციის მე18 მუხლის ჭრილში, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

მისივე ინფორმაციით, ეს არის სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, მთლიანობაში კი ეს გადაწყვეტილება 100-ზე მეტი გვერდის არის.

მისივე თქმით, გადაწყვეტილებას თან ერთვის იმ ერთი მოსამართლის განსხვავებული აზრიც, რომელმაც წინააღმდეგ მისცა ხმა.

– გადაწყვეტილებას ერთვის სამართლიანი სასამართლოს უფლების საკითხიც, რაც შეეხება ურთმელიძესა და ქალბატონ თოდუას, ამ საკითხთან დაკავშირებით უმცირესობაში დარჩენილი იმ ერთი მოსამართლის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი, რომელმაც, როგორც გადაწყვეტილებიდან ჩანს, სწორედ ამ ორ კომპონენტში სამართლიან სასამართლოს მისცა წინააღმდეგ ხმა.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასევე ნათქვამია, რომ განხილულ იქნა ნიკა გვარამიას მიერ მოთხოვნილი მოსამართლე ლადო ჭანტურიას აცილების შუამდგომლობა, რომელიც უარყოფილ იქნა როგორც: სრულიად დაუსაბუთებელი, – განაცხადა წულუკიანმა.

გუშინვე საღამოს სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებას სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია გამოეხმაურა.

მისი თქმით, ამ საქმეში საქართველოს სახალხო დამცველის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა ქვეყანაში გამოხატვის თავისუფლებისა და პლურალისტული მედია გარემოს დაცვისა და უზრუნველყოფის საკითხი.

სწორედ აღნიშნულ საკითხებზე გაამახვილა ყურადღება საქართველოს სახალხო დამცველმა ზემოაღნიშნულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსათვის წარდგენილ სასამართლო მეგობრის მოსაზრებაში.

– როგორც სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული გადაწყვეტილებიდან ირკვევა, სამწუხაროდ, გარკვეული პროცედურული გარემოებების გათვალისწინებით, ევროპულ სასამართლოს არ მიეცა სამაუწყებლო კომპანიის გამოხატვის თავისუფლების სავარაუდო დარღვევის საკითხზე არსებითად მსჯელობის შესაძლებლობა, – ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს სახალხო დამცველი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში ჯანსაღ მედია გარემოს სასიცოცხლო ფუნქცია გააჩნია; თავისუფალი მედია ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ტელეკომპანია რუსთავი 2-ის მესაკუთრეთა სწორში უკვე განხორციელებული ცვლილებები უარყოფითად არ აისახება ქვეყანაში პლურალისტურ მედია გარემოს შენარჩუნებაზე და ამავე დროს უზრუნველყოფილი იქნება კომპანიაში დასაქმებული ჟურნალისტების შრომითი უფლებები და მათი პროფესიული თავისუფლება.

რუსთავი 2-ის საქმესთან დაკავშირებით სარჩელი ირაკლი ოქრუაშვილს შეაქვს

როგორც „ახალი თაობისთვის“ ცნობილი გახდა, დღეს, 19 ივლისს, 11:00-ზე საქალაქო სასამართლოში რუსთავი 2-ის საქმესთან დაკავშირებით სარჩელი ირაკლი ოქრუაშვილს შეაქვს.

ამ დროისთვის უცნობია, რა სახის დავას აპირებს საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი.

„სასიამოვნოდ დავრჩით გაკვირვებული“

ვატო გელაშვილს 8.000 გირაო და შინაპატიმრობა შეეფარდა

20 ივნისის აქციაზე დაკავებულ ვატო გელაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით შინაპატიმრობა და 8.000-ლარიანი გირაო შეეფარდა.

გადაწყვეტილება საქალაქო სასამართლომ გუშინ, 18 ივლისს, გამოიტანა.

პროცესზე დაცვის მხარემ 5.000 ლარიანი გირაოს შუამდგომლობა დააყენა, რაც მოსამართლემ ნაწილობრივ დააკმაყოფილა და გირაოს ოდენობა 8.000 ლარით განსაზღვრა.

სასამართლომ ასევე მოსთხოვა ბრალდებულს, ყოველ ჯერზე, როცა ის სახლიდან გავა, საგამოძიებო უწყებები საქმის კურსში ჩააყენოს.

გელაშვილის უფლებადამცველი ვახტანგ იაშვილი ამბობს, რომ მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით სასიამოვნოდ გაკვირვებულია, რადგან დღევანდელი სასამართლო სისტემის პირობებში ეს ასეთი კეთილგონიერი გადაწყვეტილების გამოტანა იშვიათი მოვლენაა.

– სასიამოვნოდ დავრჩით გაკვირვებული, იმიტომ, რომ დღევანდელ სიტუაციაში ასეთი რამ ძალიან იშვიათად ხდება. მოსამართლემ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ბრალდებას არ ჰქონდა არც ერთი არგუმენტი პატიმრობის გამოყენების და დააკმაყოფილა ჩვენი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ შეეფარდოს გირაო, – განაცხადა ადვოკატმა.

თავად ბრალდებული თავს დამნაშავედ არ ცნობს და ამბობს, რომ ის პოლიტიკური პატიმარია.

გელაშვილი ფიქრობს, რომ მისი დაკავება მისივე საქმიანობასთანაა კავშირში, ვინაიდან ის არის ორგანიზაცია „შეაჩერე კორუფციის“ დამფუძნებელია, რომელმაც კორუფციულ გარიგებებში ხელისუფლების არაერთი წარმომადგენელი ამხილა.

ბრალდებული სასამართლოს პროცესიდან ისევ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაიყვანეს, რომელსაც ის გირაოს გადახდის შემდეგ დატოვებს.

ორგანიზაცია „შეაჩერე კორუფციის“ დამფუძნებელს გამოძიება ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობას ედავება.

სპეცრაზმელ გიორგი ესიაშვილს 10.000-ლარიანი გირაო შეეფარდა

20-21 ივნისს, პარლამენტის შენობის წინ აქციის დაშლისას, იარაღის გამოყენებით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით დაკავებულ განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომელ გიორგი ესიაშვილს, აღკვეთის ღონისძიების სახით 10.000-ლარიანი გირაო შეეფარდა.

ამასთან, ესიაშვილს აეკრძალა საცხოვრებელი სახლის დატოვება საგამოძიებო ორგანოს ინფორმირების გარეშე.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე არსენ კალატოზიშვილმა გუშინ, 18 ივლისს, გამოაცხადა.

ბრალდებული პენიტენციარულ დაწესებულებას გირაოს თანხის გადახდის შემდეგ დატოვებს.

სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ დაკავებული სამართალდამცველისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობა დააყენა. აღნიშნულ შუამდგომლობას დაცვის მხარე არ დეთანხმა. ადვოკატმა მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ მინიმალური ოდენობის გირაოს გამოყენების შუამდგომლობა დააყენა.

თავად შსს-ს თანამშრომელი ბრალს ნაწილობრივ აღიარებს.

მას ბრალი ოფიციალურად 17 ივლისს წაუყენეს.

ქიბარ ხალვაშმა რუსთავი 2 ოფიციალურად გადაიფორმა

ნიკა გვარამია პაატა სალიამ შეცვალა

ბიზნესმენმა ქიბარ ხალვაშმა სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2 ოფიციალურად გადაიფორმა.

ცვლილება საჯარო რეესტრის მონაცემებში 18 ივლისს 15:17 საათზე აისახა.

რეესტრში მითითებულია, რომ შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის 60%-ის მფლობელი ქიბარ ხალვაშია, ხოლო 40% შპს პანორამაზეა გაფორმებული, რომელსაც, თავის მხრივ, ასევე ხალვაში ფლობს.

ქიბარ ხალვაშის მოთხოვნით, ნიკა გვარამია ტელეკომპანიის გენერალური დირექტორის პოსტიდან გათავისუფლდა.

შესაბამისი გადაწყვეტილება პარტნიორთა კრების ოქმით დასტურდება. კრების ოქმი საჯარო რეესტრის სააგენტოს ვებგვერდზეა ატვირთული.

დოკუმენტით ირკვევა, რომ კრება ხალვაშმა წილების გადაფორმებიდან დაახლოებით ერთ საათში მოიწვია.

ამავე დოკუმენტის თანახმად, ქიბარ ხალვაშის გადაწყვეტილებით, არხის გენერალური დირექტორის პოსტზე პაატა სალია დაინიშნა.

დიმიტრი გვრიტიშვილი: „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა სია პარლამენტმა რიგგარეშე სესიაზე უნდა განიხილოს“

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრი დიმიტრი გვრიტიშვილი მომხრეა, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა სია პარლამენტმა რიგგარეშე სესიაზე განიხილოს.

როგორც დიმიტრი გვრიტიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, უსაფუძვლოა ბრალდება საბჭოს წევრთა უმრავლესობის მისამართით, რომ კანდიდატთა სიას ფორსირებულად განიხილავენ.

მისი განმარტებით, უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა საჭირო რაოდენობა არ არის, ამიტომ იუსტიციის საბჭოს ინტერესი მხოლოდ ისაა, რომ კანდიდატთა განხილვის პროცესი დროულად დასრულდეს.

– ჩვენ დაგვდეს ბრალად, რომ პროცესის ფორსირებას ვაკეთებთ, თითქოს უნდა მოესწროს სიის წარდგენა პარლამენტში ივლისის ბოლომდე, ეს ბნელ ოთახში კატის ძებნაა. ერთადერთი ინტერესი, რაც ჩვენ, მოსამართლე წევრებს გვაქვს, არის ის, რომ რაც შეიძლება დროულად აღმოიფხვრას კრიზისი საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

უზენაეს სასამართლოში ამჟამად არის 10 მოსამართლე, 2 მოსამართლეს თვის ბოლოს, მართალია, გავუგრძელეთ მათ უფლებამოსილების ვადა, მაგრამ ახალი საქმეები მათზე აღარ ნაწილდება. ანუ ფაქტობრივად საქმეები 8 მოსამართლეზე ნაწილდება და დატვირთვა უზენაეს სასამართლოში არის არანორმალური.

ამიტომაც ჩვენი ინტერესი არის ის, რომ პროცესი, რაც შეიძლება მალე დასრულდეს როგორც იუსტიციის საბჭოში, ასევე პარლამენტში, ამიტომ მე, პირადად, როგორც მოსამართლე, როგორც საბჭოს წევრი, ვემხრობი, რომ თუნდაც რიგგარეშე სესია მიუძღვნას პარლამენტმა ამ საკითხს, – განაცხადა გვრიტიშვილმა.

შეგახსენებთ, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 137 კაციანი სიიდან უკვე შეადგინა ე.წ. გრძელი სია, რომელიც 50 კანდიდატისგან შედგება.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო აღნიშნულ 50 კანდიდატთან გასაუბრების პროცესი უკვე ჩანიშნა.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისთვის ფარული კენჭისყრის შედეგად 50 კანდიდატიდან 20 შეირჩევა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან პარლამენტს განსახილველად სწორედ ეს 20 კაციანი სია გადაეგზავნება.

ნატოს გენერალი უოლტერსი ბელგრადში ჩავიდა

ნატოს ჯარების უმაღლესი მთავარსარდალი, გენერალი უოლტერსი, ბელგრადში ჩავიდა.

ის შეხვდა სერბეთის პრეზიდენტ ვუჩიჩს, თავდაცვის მინისტრ ვულინს, აგრეთვე სერბეთის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელს, გენერალ მოისილოვიჩს.

მოლაპარაკების ძირითადი თემა კოსოვო იყო.

ევროკავშირი კატეგორიულად მოითხოვს, რომ სერბეთმა კოსოვოსთან ურთიერთობები მოაგვაროს. ოფიციალური ბელგრადი კი კოსოვოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგია. ევროკავშირის პოზიცია კატეგორიულია: სანამ ბელგრადი კოსოვოსთან ურთიერთობებს არ მოაგვარებს, სერბეთის ევროკავშირში

მიღებაზე ლაპარაკიც კი გამორიცხულია.

გენერალმა უოლტერმა ბელგრადში სამშვიდობო გეგმა ჩაიტანა, რომელიც როგორც აშშ-ის, ისე ევროკავშირის ხელმძღვანელობასთან არის შეთანხმებული.

სერბეთის პრეზიდენტმა გეგმა მოიწონა.

– ეს გეგმა კოსოვოში მცხოვრები სერბების უსაფრთხოების ერთადერთი გარანტია! – თქვა ვიჩიჩმა.

საუბარმა მეგობრულ, კონსტრუქციულ ატმოსფეროში ჩაიარა. მოჰყვება თუ არა ამას სერბეთისა და კოსოვოს ურთიერთობების მოგვარება, ამას მომავალი გვიჩვენებს.

რუსეთი თურქეთს ამერიკული „ეფ35“-ის ნაცვლად საკუთარ „სუ35“-ს სთავაზობს

რუსეთის სახელმწიფო კორპორაცია „როსტეხი“ მზად არის, ანკარის სურვილის შემთხვევაში, თურქეთს საკუთარი თვითმფრინავი „სუ 35“ მიაწოდოს.

ამის შესახებ სახელმწიფო კორპორაცია „როსტეხის“ ხელმძღვანელმა სერგეი ჩემეზოვმა განაცხადა.

მანამდე აშშ-მ თურქეთი რუსული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის „ეს 400“-ის შეძენის გამო „ეფ 35“-ის პროგრამიდან გარიცხა და შეკვეთილი თვითმფრინავების მიწოდებაზე უარი უთხრა.

ამერიკული „ეფ 35“ მეხუთე თაობის მრავალფუნქციური თვითმფრინავია, ხოლო რუსული „სუ 35“ მიეკუთვნება „4++“ თაობას, არის მეოთხე თაობის „სუ 27“-ის ორგზის გაუმჯობესებული ვარიანტი, რომელიც თავისი მაჩვენებლებით თითქმის უახლოვდება მეხუთე თაობის დასავლური წარმოების თვითმფრინავებს.

ლავროვი და პომპეო, შესაძლოა, ერთმანეთს ტაილანდში შეხვდნენ

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ განაცხადა, რომ მალე აშშ-ის სახელმწიფო მდივანი პომპეო და მისი რუსი კოლეგა ლავროვი ერთმანეთს შეხვდებიან.

– შეხვედრა, სავარაუდოდ, ტაილანდში მოხდება, – თქვა ზახაროვამ.

შეხვედრის სავარაუდო თარიღად 30 ივლისი დასახელდა.

იაპონიაში ანიმაციის სტუდიაში გაჩენილი ხანძრის შედეგად 10 ადამიანი დაიღუპა

იაპონიის ქალაქ კიოტოში ანიმაციის სტუდიაში გაჩენილი ხანძრის შედეგად 10 ადამიანი დაიღუპა.

ადგილობრივი მედიის ცნობით, ცეცხლი, სავარაუდოდ, განგებ გააჩინეს. როგორც პოლიცია იტყობინება, უცნობმა მამაკაცმა სტუდიაში გაურკვეველი სითხე გადაასხა, რის შემდეგაც ხანძარი გაჩნდა.

შემთხვევის შედეგად დაშავებულია ათობით ადამიანი. ეჭვმიტანილი დააკავეს. მას სხეულზე მცირე დაზიანებები აღენიშნება.

რა იყო ხანძრის გაჩენის მოტივი, უცნობია. სხვა დეტალებზე პოლიციაში ჯერჯერობით არ საუბრობენ.

კიოტოს ანიმაციის სტუდიაში პოპულარულ ანიმაციებს ქმნიან.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ქალმა ჩქაროსნული მატარებლის ფეხით შეჩერება სცადა

ჩინეთის ქალაქ გუანჩჟოუში ქალი შეეცადა ჩქაროსნული მატარებელი შეეჩერებინა და ამისთვის მან ფეხი მატარებლის შემადგენლობასა და ბაქანს შორის არსებულ ჭრილში ჩაყო.

14 ივლისის საღამოს 30 წლის ჩინელი ქალი გვარად ვანი ძმასთან და მეგობართან ერთად რკინიგზის სადგურში წინაღობას მას შემდეგ გადაახტა, როდესაც სადგურის თანამშრომლებმა მისი ბილეთის კომპოსტირებაზე უარი განაცხადეს, ვინაიდან მას მატარებელზე დააგვიანდა. მან მატარებლის კარის გაღება მოითხოვა, რომელიც უკვე უნდა დაძრულიყო. ქალი ყვიროდა, რომ ეს ქალაქ ჩანშასკენ მიმავალი ბოლო მატარებელი იყო და თუ ის მასზე ვერ ავიდოდა, სამსახურში დააგვიანდებოდა.

სათვალთვალო კამერის მიერ გადაღებულ კადრებში ჩანს, თუ როგორ ცდილობენ სადგურის თანამშრომლები ვანის მატარებლისგან მოშორებას, მაგრამ ის ვაგონის კარს ეყრდნობა და ფეხს ჭრილში ჰყოფს.

– გეხვეწებით, გააღეთ კარი, ეს სულ ერთ წუთს წაგართმევთ, – იხვეწება ქალი.

საბოლოოდ სადგურის ოთხმა თანამშრომელმა მისი მატარებლისა და ბაქნის კიდიდან მოცილება შეძლეს. აღნიშნული ინციდენტის გამო მატარებელი სადგურიდან შვიდი წუთის დაგვიანებით გავიდა.

ქალს ამ ინციდენტისთვის ცხრა დღით პატიმრობა მიესაჯა, ხოლო მის ძმას და მეგობარს გაფრთხილება მიეცათ.

საფოსტო ბარათი ადრესატს 26 წლის შემდეგ მიუვიდა

ამერიკის ილინოისის შტატის ქალაქ სპრინგფილდის მკვიდრმა ქალბატონმა 1993 წლით დათარიღებული საფოსტო ბარათი მიიღო.

უჩვეულო გზავნილი კიმ დრაპერმა ივლისის დასაწყისში მიიღო. თავდაპირველად ქალმა იფიქრა, რომ ფოსტალიონს მისამართი შეეშალა. მოგვიანებით მან გულდასმით შეისწავლა ბარათი და გაარკვია, რომ ის სახლის ადრინდელ მცხოვრებთ მუჰამედ ალი ყიზილბაშსა და ლინეს 26 წლის წინ 8 ივლისს გამოუგზავნეს. წერილში მათი მამა ჰონგ კონგში საკუთარ მოგზაურობას აღწერდა.

– იმის გათვალისწინებით, რომ ბარათი ფოსტაში 26 წელი ეგდო და მტვერი ედებოდა, შესანიშნავადაა შემონახული, – ხაზგასმით აღნიშნა დრაპერმა ჟურნალისტებთან საუბარში. ქალმა მომხდარის შესახებ ადგილობრივ მედიას მოუყვა, რათა წერილში ნახსენები ადამიანები იპოვონ.

– იმედი მაქვს, რომ ვინმე ნახავს ამ ამბავს გაზეთში, შესაძლოა, მათმა ნათესავმაც წაიკითხოს და დამიკავშირდება, – განაცხადა ქალმა, – ძალიან მინდა მათი გაცნობა, ხომ არ შემიძლია, უბრალოდ ავიღო და ბარათი ნაგვის ყუთში მოვისროლო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

გიორგი კოხრეიძე: „შერიფზე უფრო მოტივირებული ვიყავით“

საბურთალოს შემტევი გიორგი კოხრეიძე შერიფთან მატჩებში გამორჩეული ფიგურა იყო. მოლდოვაში ულამაზესი გოლი გაიტანა, ხოლო თბილისურ შეხვედრაში ძალიან აქტიურობდა და აკი გამოყო კიდეც ტრასპოლელთა მთავარმა მწვრთნელმა.

ერთია, გიორგიმ ორივე შეხვედრაში ყვითელი ბარათები მიიღო. გავრცელდა ინფორმაცია, რომ კოხრეიძე მომავალ მატჩს ზაგრების დინამოსთან დისკვალიფიკაციის გამო ტოვებდა, თუმცა კლუბის ვებგვერდმა ეს არ დაადასტურა და აცხადებს, რომ ფეხბურთელი ჩვეულებრივად ემზადება ხორვატულ გუნდთან სათამაშოდ და, თუ მწვრთნელი ჩათვლის საჭიროდ, მოედანზე ჩვეულებრივად გავა.

– შეაფასეთ ტირასპოლის შერიფთან მატჩები.

– პირველ შეხვედრაში ჩვენ უფრო მოტივირებულები და მონდომებულები გავედით მინდორზე, კარგი ფეხბურთი ვითამაშეთ და დამსახურებულად მოვიგეთ. როგორც ჩანს, მეტოქემ არ დაგვაფასა სათანადოდ. თბილისურ შეხვედრაში სულ სხვა შერიფი ვიხილეთ, მეტოქემ თავისი ძალა დაგვანახა. მიუხედავად იმისა, რომ 0:3 ვაგებდით, გამოვნახეთ ძალები და მატჩის ჩვენთვის სასურველი ანგარიშით დასრულება მოვახერხეთ. ძალიან რთული, დაძაბული და საინტერესო მატჩი იყო, ემოციებით სავსე. მიხარია, რომ ეს ბარიერი დავძლიეთ და შემდეგ ეტაპზე გავედით.

– როგორ ფიქრობთ, რის ხარჯზე შეძლო საბურთალომ შემდეგ ეტაპზე გასვლა?

– უფრო მონდომებულები, მოტივირებულები ვიყავით, ვიდრე მოწინააღმდეგე. ბევრი ვიბრძოლეთ, ვიშრომეთ და დაგვიფასდა. ჩვენთან შედარებით „შერიფი“ გამოცდილი კლუბია, მაგრამ კონკრეტულ შეხვედრაში ჩვენ უკეთესად მოვემზადეთ და დამსახურებულად გავედით მეორე ეტაპზე.

– თბილისური მატჩის დასრულების შემდეგ შერიფის მთავარმა მწვრთნელმა ზორან ზეკიჩმა კომპლიმენტები მოგიძღვნათ.

– სასიამოვნო იყო, გამიხარდა ძალიან.

– რამდენიმე დღეში საბურთალოს მორიგი გამოცდის ჩაბარება უწევს. ამჯერად მეტოქე ბევრად ძლიერია. როგორია ზაგრების დინამოსთან მოლოდინი?

– მომავალი მოწინააღმდეგე იმაზე ძლიერია, ვიდრე შერიფი. დინამო ისტორიული და ბევრად გამოცდილი კლუბია, სისტემატურად თამაშობს ჩემპიონთა თუ ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. თუ ვითამაშეთ ჩვენი ფეხბურთი და მწვრთნელის დავალებები მაქსიმალურად შევასრულეთ, დარწმუნებული ვარ, მოვიგებთ.

– თქვენ საბურთალოს აღზრდილი ხართ. გაიხსენეთ ბავშვობის დრო, როგორ დაიწყო თქვენი კარიერა საბურთალოში?

– თავიდან 1998-წლიანების მესამე გუნდში ვთამაშობდი, თუმცა ყოველთვის მჯეროდა, რომ მოვუმატებდი და დამაწინაურებდნენ. რამდენიმე წლის წინ კარგი სეზონი ჩავატარე. შემდეგ „სალერის თასზე“ თავის გამოჩენის შესაძლებლობა მომცეს. უკრაინული დნიპროს მატჩის დასრულების შემდეგ პირველ გუნდში ვარჯიშის შანსი მომეცა. მას შემდეგ საბურთალოს მთავარი გუნდის ფეხბურთელი ვარ.

– წარმოიდგენდით, რომ საბურთალო ჯერ ქვეყნის ჩემპიონი გახდებოდა, შემდეგ ჩემპიონთა ლიგის პირველ ეტაპს გადალახავდა?

– პირველ ლიგაში რომ ვთამაშობდით, ისე მიდიოდა საქმე, ვგრძნობდი, რომ უმაღლეს ლიგაში გადავიდოდით. საბურთალოში ამბიციური და კვალიფიციური ხალხი მუშაობს. მჯეროდა, რომ ქვეყნის ჩემპიონები გავხდებოდით. დარწმუნებული ვარ, რამდენიმე წლის ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზეც ითამაშებს. კარგი იქნება, თუ იმ დროს საბურთალოს შემადგენლობაში ვიქნები.

ჩიხურამ თავისი საქმე გააკეთა

ჩიხუჩა-ფოლა 2:1

თბილისი. დინამო არენა

1:0 არდაზიშვილი (25), 2:0 სარდალიშვილი (74), 2:1 სინანი (89პ)

ჩიხურა: ჰამზიჩი, მამასახლისი, მაისაშვილი, კორიფაძე, კაშია (ჩიტეიშვილი 76), დეკანოიძე, სარდალიშვილი, ჩიხლაძე, ჩიკვაიძე, არდაზიშვილი (ერგემლიძე 67), ფანცულაია

ფოლა: კაბრალი, ბერნარდი, კორალი, მუჰარემოვიჩი, კარონი (დრიფი 46), ფრერე (ჰაჯი 75), საკრასი, სინანი, მერში (ქუასიერო 67), კლაინი, სეიდი

გაძევება: მუჰამეროვიჩი (32)

ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო შეხვედრაში საჩხერის ჩიხურამ ლუქსემბურგულ ფოლა ეშს უმასპინძლა და 2:1 დაამარცხა. ჩიხურა გახდა მეორე ქართული გუნდი, რომელიც მიმდინარე სეზონში ევროტურნირების შემდეგ ეტაპზე გავიდა.

საქართველოს თასის 2017 წლის გამარჯვებულს პირველი მატჩიც მოგებული ჰქონდა, ამიტომაც თავიდანვე პრაგმატულად მიუდგა საქმეს. ზემო იმერლები უპირატესობას საწყისი წუთებიდანვე დაეუფლნენ – საჩხერელები ბურთს აკონტროლებდნენ და სახიფათო ეპიზოდებს ქმნიდნენ, ფოლას კი რამდენიმე შანსი კონტრშეტევაზე მიეცა.

25-ე წუთზე ჩიხურამ უპირატესობა გოლად აქცია. მიხეილ სარდალიშვილის ჭკვიანური პასის შემდეგ რატი არდაზიშვილი საჯარიმოში მეკარის პირისპირ აღმოჩნდა, ზუსტი დარტყმით კი 2 მატჩის ჯამში უპირატესობა გაზარდა.

ჩიხურას მეტოქეზე საკუთარი თამაშის მოხვევაში ისიც დაეხმარა, რომ ლუქსემბურგელები 10 კაცით დარჩნენ. მუჰარემოვიჩმა სახიფათო შეტევისას დეკანოიძის მისამართით ძალიან უხეშად ითამაშა და მსაჯისგან პირდაპირ წითელი ბარათი დაიმსახურა.

ამის შემდეგ ძნელად წარმოსადგენი იყო, რომ ფოლა 2 გოლს გაიტანდა, რათა თამაში მინიმუმ დამატებით დროში გადაეყვანა. ასეც მოხდა – ჩიხურამ მეტოქეს ამის გაკეთების უფლება არ მისცა.

მიუხედავად იმისა, რომ მეორე ტაიმის სტარტზე მოედანზე ლუქსემბურგელთა ფეხბურთელები დომინირებდნენ, ჩიხურას კონტრშეტევები სიმწვავეს არ კარგავდა. ერთ-ერთი ასეთი იერიშის დროს, ბურთი საჩხერელთაგან ერთ-ერთმა ყველაზე აქტიურმა მიხეილ სარდალიშვილმა მოიპოვა და საგოლე პასს გოლიც დაუმატა – 2:0.

ჩიხურას მატჩი გამარჯვება მშვიდად მიჰყავდა, მაშინ როცა ბოლოსწინა წუთზე მათ საჯარიმოში 11-მეტრიანი დარტყმა დაინიშნა. ის გოლად სინანიმ აქცია და ანგარიში 2:1 გახდა.

ამრიგად, 2 მატჩის ჯამში ჩიხურამ შემდეგი ეტაპის საგზური გაინაღდა, სადაც შოტლანდიურ აბერდინსა და ფინურ როვანიემის შორის გამარჯვებულს დაუპირისპირდება.

კოუტინიოს მომავალი გაურკვეველია

ფილიპე კოუტინიოს აგენტი კია ჯურაბჩნიანი აცხადებს, რომ უკვე ესაუბრა ბარსელონის მფლობელს, გენერალურ დირექტორსა და სხვა ოფიციალურ პირებს, რომლებმაც უთხრეს, რომ კოუტინიოს გაყიდვას არ აპირებენ.

თუმცა, პარალელურად, ბარსელონის მრჩეველი ბრაზილიაში, ანდრე კარი, კლუბს არწმუნებს, რომ კოუტინიოს ნეიმარის ტრანსფერში ჩაერთოს და საფრანგეთში გადაბარგდეს. ამიტომ კოუტინიოს აგენტმა ბარსელონას ღიად მოსთხოვა, რომ მის კლიენტს სიმართლე უთხრას, რათა ბრაზილიელმა სხვა გზა მოძებნოს.

ბარსელონამ კოუტინიოსა და დემბელეს გამოყენება ნეიმარის ტრანსფერში მართლაც ცადა, მაგრამ ეს გეგმა მას შემდეგ ჩაიშალა, რაც კოუტინიომ თქვა უარი და ასევე პსჟ-საც არ გამოუვლენია ამ შეთავაზებაზე დიდი ინტერესი. კატალონიელებს სურთ, კოუტინიო იქამდე შეინარჩუნონ, სანამ ნეიმარს არ შეიძენენ, მაგრამ კოუტინიოს აგენტსა და თავად ფეხბურთელს ეს მდგომარეობა, რასაკვირველია, არ ხიბლავთ. კატალონიელებმა 200 მილიონი შესთავაზეს პსჟ-ს, რაზე თანხმობის შემთხვევაშიც კოუტინიოს წასვლა გარდაუვალი იქნება.

კოუტინიოს შეძენას მანჩესტერ იუნაიტედიც ცდილობდა, თუმცა მისმა აგენტმა მანჩესტერელებს ყველანაირი იმედი მოუკლა და განაცხადა, რომ ლივერპულს კოუტინიოს გულის სიღრმეში დღემდე დიდი ადგილი აქვს, ამიტომ, რთული წარმოსადგენია, რომ ბრაზილიელი ლივერპულის მტერ გუნდში ვიხილოთ. მეტიც, ის თუ ბარსელონას დატოვებს, პირველ რიგში სწორედ ლივერპულისკენ გაიხედება.

კოუტინიოს ტრანსფერში ბარსელონამ 105 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადა ბონუსებით კი ეს თანხა 140 მილიონამდე უნდა გაზრდილიყო. ლივერპულმა ბონუსის ნაწილი, რომელიც ბარსელონის ესპანურ ტიტულსა და მატჩების ოდენობას ეხებოდა, უკვე მიიღო, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის მოგებისა და ინდივიდუალური ჯილდოების ბონუსი არ მიუღია. ბარსელონა თუ ბრაზილიელს ლივერპულში გაუშვებს, ის ახალ სეზონში დამატებით გადასახდელი ბონუსისგან თავისუფალი იქნება.

იურგენ კლოპმა კოუტინიოს შესანარჩუნებლად ნამდვილი ომი გადაიტანა და თავადაც აღნიშნა, რომ მის დასარჩენად ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო. ეს გვაფიქრებინებს, რომ კლოპი კოუტინიოს ადგილს ლივერპულის მომავალში ნამდვილად ხედავდა. სწორედ ამიტომ არც ის გამოვრიცხოთ, რომ მისი დაბრუნების ისევე დიდი სურვილი ჰქონდეს, როგორც შენარჩუნების. პრესაში უკვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლივერპულმა ბარსელონას ბრაზილიელის 2-წლიანი იჯარით აყვანა შესთავაზა, გამოსასყიდ თანხად კი – 88 მილიონი გირვანქა. გამოდის, რომ ბარსელონამ ლივერპულს კოუტინიოს წელიწად-ნახევარი თამაშისთვის დაახლოებით 40 მილიონი გადაუხადა.

მერსისაიდელებმა უარი თქვეს ნიკოლას პეპეს აყვანაზე, რომელიც ფრანგებმა 80 მილიონი დააფასეს, კოტდივუარელმა აფრიკის თასზეც ვერაფრით დაგვამახსოვრა თავი, ამიტომ კლოპი შეტევითი პოტენციალის გაძლიერებას მისთვის კარგად ნაცნობი ფეხბურთელით ეცდება.

კოუტინიომ თავისი სოციალურ გვერდიდან მის შესახებ ინფორმაციიდან წაშალა ბარსელონის ფეხბურთელი, რაც შემთხვევითობა, ნაკლებ სავარაუდოა, იყოს. ლივერპულმა კი თავის გვერდზე მოხსნა სათავეში ფიქსირებული პოსტი, რაც, ხშირ შემთხვევაში, იმის ნიშანია, რომ გვერდი ახალი სერიოზული ინფორმაციის დასადებად ემზადება.

ფირმინო და კოუტინიო ბრაზილიაში ატარებენ თავიანთ შვებულებას. ბობიმ საოჯახო წვეულება გამართა, სადაც თავისი მეგობარი ფილიც დაპატიჟა. ფირმინო და მისი მეუღლე ფილსა და მის მეუღლეს ძალიან გულთბილად და დიდი სიხარულით შეხვდნენ, რაც მედიას უყურადღებოდ არ დაუტოვებია.

20 წლამდე ნაკრები მეორე ადგილით მასპინძლებზე გავიდა

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალშია. პორტუგალიურ მატუსინოშში მიმდინარე ევროპირველობის ბ დივიზიონში მილოშ გლიგორიევიჩის გაწვრთნილმა ჩვენმა ნაკრებმა ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის მატჩი ესტონეთთან 67:78 წააგო, თუმცა მეოთხედფინალში მაინც გავიდა. ქართველებს გასული ოთხივე ტურის მატჩი მოგებული ჰქონდათ და მხოლოდ იმ შემთხვევაში რჩებოდნენ ჯგუფში, თუკი ესტონელებთან 20 ქულითა და მეტით წააგებდნენ. ჩვენი კალათბურთელები პირველი ნახევრის შემდეგ იგებდნენ, მაგრამ მეორე ნახევარში ესტონელთა შორეულ სროლებს ვერაფერი მოუხერხეს და საბოლოოდ წააგეს, თუმცა დასაშვები ზღვრის ფარგლებში – 11 ქულით.

ესტონელები, რომ იტყვიან, ვაბანკზე წავიდნენ. როცა მესამე პერიოდში კვლავ მდევრის როლში იყვნენ, გარისკეს და სამქულიანებზე გადავიდნენ, რამაც ნაწილობრივ გაუმართლათ და 8 ქულით მოგებული მესამე პერიოდის შემდეგ 55:49 დაწინაურდნენ. ბოლო პერიოდში თამაში თანაბრად გაგრძელდა. საქართველოს ნაკრები მეტ აქცენტს დაცვაზე აკეთებდა, თუმც ესტონელები იშვიათად შედიოდნენ საჯარიმოში და ძირითადად სამქულიანებზე იყვნენ გადართულები. მატჩის დასრულებამდე სამიოდ წუთით ადრე ესტონელებმა მორიგი სამქულიანი ჩააგდეს და 11 ქულით 70:59 დაწინაურდნენ, რასაც მილოშ გლიგორიევიჩის წუთშესვენება და თამაშის დამშვიდება, დალაგება მოჰყვა.

ესტონელები აფორიაქდნენ, ტაქტიკურ ჯარიმებს და შორ სროლებს მიჰყვეს ხელი, მაგრამ სასურველ ლიდერობას ვერ მიაღწიეს. 11 ქულით მოგებულ ბალტიისპირელებს მიზნამდე 9 ქულა დააკლდათ.

საბოლოოდ, ჩვენს ჯგუფში სამმა გუნდმა – ჰოლანდიამ, საქართველომ და ესტონეთმა 4 მოგების წილ 1 მარცხი დააგროვა. ურთიერთშეხვედრების გათვალისწინებით, პირველ ადგილზე ჰოლანდია გავიდა, მეორეზე – საქართველო, ხოლო მესამეზე – ესტონეთი.

მეოთხედფინალში მილოშ გლიგორიევიჩის გაწვრთნილი გუნდის მეტოქე მასპინძელი პორტუგალია იქნება. პორტუგალიელებმა ბოლო ტურის მატჩში ბელგია 81:53 გაანადგურეს.

გეტყვით იმასაც, რომ პორტუგალიელებს ზედ ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ამხანაგურად ვეთამაშეთ და 35 ქულით წავაგეთ.

ივო შუშაკი: „ქართველებს უყვართ შეტევა“

ზაგრების დინამოსა და საბურთალოს მატჩზე უკვე ხორვატიაშიც საუბრობენ. აინტერესებთ ყველაფერი საქართველოზე და უკეთესს ვის ნახავდნენ, თუ არა ივო შუშაკს. გეხსომებათ, ხორვატი სპეციალისტი თბილისის დინამოს ყოფილი მწვრთნელია. 2002-04 წლებში იმუშავა საქართველოში და 2 მატჩში საქართველოს ნაკრებიც გაწვრთნა. მათ შორის ერთი, რუსეთის ნაკრებთან, რომელიც მალხაზ ასათიანის გოლით მოვიგეთ.

შუშაკიც მუდამ კეთილგანწყობილია საქართველოს მიმართ, აქ მეგობრებიც ჰყავს და არაერთხელ სტუმრობდა ჩვენს ქვეყანას.

ხორვატული მედია შუშაკის კომენტარს აქვეყნებს.

ივო შუშაკი:

– ადრეც მითქვამს, რომ ქართველი ფეხბურთელები ინდივიდუალურად ძლიერები არიან. შედეგზე გათვლა მათი ძლიერი მხარე არ არის, მაგრამ უყვართ თამაში და შეტევა. დღესაც ვიცი, თუ რას წარმოადგენს ქართული ფეხბურთი. მოვლენებს არ ჩამოვრჩენილვარ. ბოლოს საბურთალოსა და ბათუმის დინამოს (0:0) მატჩს დავესწარი, მაგრამ ეს სხვა თამაში იყო, ისეთი, ქართულ ხასიათს რომ არ შეეფერება. მძიმე, ჩაკეტილი, უგოლო.



საბურთალოს უყვარს ბურთის ფლობა და კარგად კომბინირებენ. გუნდში რამდენიმე უცხოელიც ჰყავთ, მაგრამ ძირითად ძალას ადგილობრივები წარმოადგენენ. ზაგრების დინამოს ისეთივე იოლი მატჩები ვერ ექნება, როგორც 3 წლის წინ ჰქონდა თბილისის დინამოსთან (2:0, 1:0). თუმცა მომავალ მეტოქეზე მაღლა დგანან. დარწმუნებული ვარ, მწვრთნელები და ფეხბურთელები სერიოზულად შეაფასებენ საბურთალოს შესაძლებლობებს. მწვრთნელი ნენად ბელიცა ამ მხრივ კარგად მუშაობს.

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

შედეგები

17 ივლისი

ფეხბურთი

აფრიკის ეროვნული თასი

ტუნისი-ნიგერია 0:1

უეფას ჩემპიონთა ლიგა

რიგა-დანდალკი ..... 0:0(4:5პ)

აიკი-არარატი 3:1

ყარაბახი-პარტიზანი 2:0

რუსენბორგი-ლინფილდი 4:0

ლუდოგორეცი-ფერენცვაროში .. 2:3

პიასტი-ბატე 1:2

კლუჟი-ასტანა 3:1

მარიბორი-ვალური 2:0

სუტიესკა-სლოვანი ..... 1:1(3:2პ)

სელტიკი-სარაევო 2:1

უეფას ევროპის ლიგა

ჩიხურა-ფოლა ეში 2:1

ჭორფლი — კანის პიგმენტაციის ანომალია

რა იწვევს კანის შეფერილობის შეცვლას? – ასეთი შეკითხვით რამდენიმე მკითხველმა მოგვმართა. ვეცდებით, მოგაწოდოთ მოკლე ინფორმაცია კანის პიგმენტაციის ანომალიების შესახებ და როგორ გავაუმჯობესოთ მდგომარეობა შინაურ პირობებში.

ჭორფლი მცირე პიგმენტური ლაქებია, რომლებსაც მოყვითალო-მოყავისფრო ელფერი აქვს. ისინი გვხვდება სახეზე, ზურგზე, ხელის მტევნებზე. გაზაფხულ-ზაფხულში ჭორფლი იმატებს, ზამთარში კი ნაკლებად შესამჩნევია. კონკრეტული მეთოდი ჭორფლის მოსაშორებლად არ არსებობს. თუ თქვენი კანი საშუალებას გაძლევთ, ყოველ საღამოს წაისვით ლიმონი, გაიკეთეთ მაწვნის ნიღბები. ეფექტურია კიტრის, დაჭრილი ოხრახუშისა და მაწვნის ნაზავი, ასევე – შავი მოცხარის წვენი. თბილი თვეების დადგომისთანავე თუ იხმართ მზის სხივებისგან დამცავ კრემებს, შეიძლება, ჭორფლმა „დაგინდოთ“ და ნაკლებად შესამჩნევი გახდეს.

ვიტილიგო პიგმენტის გაქრობის შედეგია. კანზე მკვეთრად შემოსაზღვრული თეთრი ლაქები წარმოიშობა. ლაქამ კანის საკმაოდ დიდი უბანიც შეიძლება დაიკავოს. ზოგჯერ ლაქები ერთ რიგში, ჯგუფურად ლაგდებიან. ასეთ დაავადებულ უბანზე უპიგმენტო თმა (ჭაღარა) ამოდის. დაავადებას ქავილი, წვა, მტკივნეულობა არ ახასიათებს. ვიტილიგოზე ეფექტურად მოქმედებს ლეღვის წვენის წასმა.

ხალი კანის განვითარების მანკია. ხალი შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი, თანდაყოლილიც და შემდეგ წარმოქმნილიც. თანდაყოლილი ხალი ორგვარია – პიგმენტური და ანგიომები (სისხლძარღვოვანი ლაქები). ხალების რაოდენობა ორსულობისა და სქესობრივი მომწიფების პერიოდში იმატებს.

თმიანი ხალი შავი ან მოყავისფროა, შეხებით – მეჭეჭოვანი, ხორკლიანია. ზოგჯერ შეიძლება, დიდი ფართობი დაიკავოს და დეფექტად გადაიქცეს. მისი ოდნავი დაზიანების შემთხვევაშიც კი მიმართეთ ექიმს.

რბილი მეჭეჭი პატარა ზომის, მოყავისფრო-რუხი სიმსივნეა. ისინი ხშირად ვითარდება კისერზე, ზურგზე, საზარდულის არეში.

ქლოაზმა პიგმენტაციის მოშლის ერთ-ერთი სახეობაა. არასწორი ფორმის მოყვითალო-ყავისფერი ლაქებია, რომლებიც ჩვეულებრივ სიმეტრიულად არიან განლაგებული შუბლის, ცხვირის, კისრის არეში. ქლოაზმის გაჩენა შეიძლება გამოწვეული იყოს ორსულობით, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ფუნქციის მოშლით, ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის დაავადებებით. თუ ორსულობით არის გამოწვეული, მშობიარობის შემდეგ უკვალოდ გაქრება.

პიგმენტური ლაქები – ჰიპერპიგმენტაცია, შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა გარეგანი ფაქტორით (მზის სხივებით, დამწვრობით, მოყინვით), ნივთიერებათა ცვლის მოშლილობით, ქრონიკული ინფექციებით.

გახსოვდეთ, საკვებში ცე ვიტამინის ნაკლებობამ შეიძლება სხვადასხვა დაავადება გამოიწვიოს. ზოგს იდაყვებზე მოყვითალო-მოყავისფრო ლაქები უჩნდება, რომლებიც მშრალია და იქერცლება. კანის შეფერილობის შეცვლა, შეიძლება, სხვადასხვა ქიმიურმა ნივთიერებამაც გამოიწვიოს.

ცოლ-ქმარი 71 წლის თანაცხოვრების შემდეგ ერთ დღეს დაიღუპა

ამერიკის ჯორჯიის შტატის მცხოვრებმა წყვილმა ქორწინებაში 71 წელი გაატარა და ერთ დღეს გარდაიცვალა. ჰერბერტ დელეიგლმა მერილინ ფრენსის დელეიგლი 1947 წელს ქალაქ უეინსბოროს კაფეში გაიცნო, სადაც გოგონა მუშაობდა.

– ხშირად ვუყურებდი, თუ როგორ დადიოდა წინ და უკან, თვალს ვერ ვწყვეტდი, – განუცხადა ჟურნალისტებს მამაკაცმა 2018 წელს, – ბოლოს სიმხნევე მოვიკრიბე და პაემანზე დავპატიჟე.

ერთი წლის შემდეგ მათ იქორწინეს. დელეიგლების წყვილი, რომელსაც ექვსი შვილი, 16 შვილიშვილი, 25 შვილთაშვილი და სამი შვილთაშვილის შვილი ჰყავს, უეინსბოროს საავადმყოფოში ერთ დღეს, 12 ივლისს გარდაიცვალა. 94 წლის ჰერბერტი ღამის 02:20 საათზე გარდაიცვალა, ხოლო 88 წლის მერილინ ფრენსისი – მეუღლის გარდაცვალებიდან 12 საათის შემდეგ.

პაპამ ჩვილ შვილიშვილს ალკოჰოლი დაალევინა და დაღუპა

ჩინეთის დედაქალაქ პეკინში მამაკაცი ახალდაბადებულ შვილიშვილს ალკოჰოლით გაუმასპინძლდა, რამაც ბავშვის დაღუპვა გამოიწვია.

ნათესავებმა და მეგობრებმა ბავშვის დაბადების აღსანიშნავად საზეიმო სუფრასთან მოიყარეს თავი. იმ დღეს ბავშვი ერთი თვის გახდა. ბავშვის პაპამ მამის მხრიდან ჭიქა ასწია და სადღეგრძელო წარმოთქვა. მაშინ ერთ-ერთმა სტუმარმა იხუმრა, რომ პაპა შვილიშვილის გარეშე ვერ დალევდა.

ამის შემდეგ პაპამ შვილიშვილს თავისი ბოკალიდან სასმელის მოახვრეპინა. დედამ მას ბავშვი იმავე წამს გამოართვა. ამ ფაქტიდან ნახევარ საათში ბავშვმა სუნთქვა შეწყვიტა. ის სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მისი რეანიმირება ვერ შეძლეს. გარდაცვალების შემდეგ ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ბავშვის სიკვდილის მიზეზი ალკოჰოლით მოწამვლა გახდა.

გააფთრებული სპილო ტურისტებს დაედევნა

სოციალური ქსელის მომხმარებელმა გამოაქვეყნა ვიდეო, რომელზეც ასახულია, თუ როგორ მისდევს სამხრეთ აფრიკის ბუნების ნაკრძალში სპილო პარკის დამთვალიერებლებს.

კადრებში ჩანს, თუ როგორ ცდილობს ტურისტების ჯგუფი, ჯიპით გაექცეს გამოდევნებულ აგრესიულ სპილოს. მძღოლს მანქანა უკუსვლით მიჰყავს, ხოლო მგზავრები ცალი ხელით სახელურებზე არიან ჩაჭიდებული, ხოლო მეორით მობილური ტელეფონებით მომხდარს ვიდეოზე იღებენ, მანქანის უკანა სავარძლებზე მსხდომები კი მძღოლს მიმართულებას კარნახობენ.

კომენტატორებმა მანქანის მძღოლის ტარების ჩვევები შეაქეს და ივარაუდეს, რომ, როგორც ჩანს, ეს მისთვის ასეთი პირველი შემთხვევა არ არის. ზოგიერთმა ირონიულად შენიშნა, რომ ტურისტები ავსტრალიიდან იყვნენ, ვინაიდან არ ყვიროდნენ და სიმშვიდეს ინარჩუნებდნენ. მათი თქმით, ამ ქვეყნის მცხოვრებლები ველურ ბუნებას შეჩვეული არიან და ამიტომ მათი გარეული სპილოებით შეშინება ძნელია. გარდა ამისა, ბევრმა მათ ხმებში ავსტრალიური აქცენტი შენიშნა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კულინარიული კუთხე

შემწვარი, დაკეპილი ხორცი პამიდვრით

მასალა: რბილი ხორცი – 1 კილოგრამი; პურის ფქვილი – საჭირო რაოდენობის; კარტოფილი – 2 ცალი; ხახვი – 4-5 თავი; კვერცხი – 2 ცალი; პურის გული – 100 გრამი; წყალი – 4 სუფრის კოვზი; ერბო – 5 სუფრის კოვზი; პამიდორი – 1 კილოგრამი; ოხრახუში, ქინძი, წიწაკა, პილპილი, მიხაკ-დარიჩინი, მარილი – გემოვნებით.

მომზადება: საქონლის გარეცხილი ხორცის რბილი ნაჭერი დავკეპოთ ან ხორცსაკეპ მანქანაში გავატაროთ. წინასწარ წყალში დამბალი და გაწურული პურის გული, დაჭრილი კარტოფილი, ოხრახუში, ხახვი, ნიორი ერთად გავატაროთ ხორცსაკეპ მანქანაში. ავურიოთ შიგ წყალი, მარილი, პილპილი, დანაყილი მიხაკ-დარიჩინი, უმი კვერცხი და კოვზით კარგად ავზილოთ.

მიღებული მასალისგან პატარ-პატარა მოგრძო მოყვანილობის ლილვაკები გავაკეთოთ, პურის ფქვილში ამოვავლოთ და ერბოიან ცხელ ტაფაზე შევწვათ.

პამიდორი გავხეხოთ სახეხზე და გავატაროთ საცერში, რომ თესლები არ გაჰყვეს. ხახვი წვრილად დავკეპოთ, ჩავყაროთ ქვაბში, ნახევარ სუფრის კოვზ ერბოში კარგად მოვშუშოთ, ჩავასხათ პამიდორი და ვხარშოთ, სანამ არ შესქელდება. შევაზავოთ წინასწარ დანაყილი ქინძით, წიწაკით, მარილითა და დაჭრილი ოხრახუშით.

შემწვარი, დაკეპილი ხორცი შესაფერის ჭურჭელზე დავაღაგოთ და მომზადებული პამიდორი ზემოდან დავასხათ. შეიძლება, სუფრაზე ცალკე მივიტანოთ შემწვარი ხორცი და ცალკე – პამიდვრის საწებელი.

❖ ❖ ❖

შემწვარი ბადრიჯანი მაიონეზით

მასალა: ბადრიჯანი – 1 კილოგრამი; მაიონეზი – 200 გრამი; საშუალო ზომის ხახვი – 2 ცალი; ქინძი – 100 გრამი; ნიორი – 4 კბილი; მარილი და შავი წიწაკა – გემოვნებით.

მომზადება: შევწვათ ბადრიჯანი ზეთში, მოვთუშოთ ხახვი, გავაგრილოთ. შემდეგ მაიონეზში ჩავაწყოთ შემწვარი ბადრიჯანი და დავუმატოთ მოთუშული ხახვი, ქინძი, ნიორი, მარილი, წიწაკა და ავურიოთ. შემდეგ კი მივირთვათ ცივი.

❖ ❖ ❖

კარტოფილის გუფთა

მასალა: კარტოფილი – 600 გრამი; ხახვი – 1 თავი; ნიგოზი – 1/2 ჩაის ჭიქა; ღვინის ძმარი – 2-3 სუფრის კოვზი; კარტოფილის ნახარში – 2 სუფრის კოვზი; ნიორი – 1-2 კბილი; ქინძი – 1-2 ღერი; წვრილად დაჭრილი ქინძი და ოხრახუში – 1/2 ჩაის ჭიქა; დანაყილი იმერული ზაფრანა, წიწაკა და მარილი – გემოვნებით.

მომზადება: კარტოფილი მოვხარშოთ და შემდეგ კარგად ავზილოთ. ერთად დავნაყოთ: ნიგოზი, ნიორი, მარილი, ქინძი და წიწაკა, გამოვხადოთ ზეთი და ცალკე თეფშზე დავასხათ. დანაყილი მასალა გავხსნათ კარტოფილის ნახარშით შეზავებული ღვინის ძმრით, დავუმატოთ ძალიან წვრილად დაჭრილი ხახვი, ქინძი, ოხრახუშის ფოთოლი, დანაყილი იმერული ზაფრანა, შემზადებული კარტოფილი და კვლავ კარგად ავზილოთ. მიღებული ცომისმაგვარი მასისგან გავაკეთოთ ქათმის კვერცხის სიდიდის გუფთები, ლამაზად დავალაგოთ თეფშზე ან ლანგარზე, თითოეულ გუფთას შუაგულში გავუკეთოთ პატარა ღრმული და ჩავასხათ ნიგვზიდან გამოხდილი ზეთი.

❖ ❖ ❖

ნამცხვარი „პელე“

მასალა ცომისთვის: ფქვილი – 2,5 ჩაის ჭიქა; რძე – 1 ჭიქა; კარაქი – 1 სუფრის კოვზი; კაკაო – 1 ჩაის კოვზი; შაქარი – 1,5 ჩაის კოვზი; ვანილი.

მომზადება: კვერცხი, ფქვილი, შაქარი, ადუღებული და გაცივებული რძე, გამდნარი კარაქი, ვანილი, კაკაო ავურიოთ და შევდგათ 40 წუთი მაცივარში. გამოვიღოთ და 1 სუფრის კოვზი ძმარი და 1 ჩაის კოვზი სოდა დავუმატოთ. ავურიოთ, გავყოთ ორად და ცალ-ცალკე გამოვაცხოთ.

მასალა კრემისთვის: კარაქი – 250 გრამი; შაქარი – 1,5 ჭიქა; რძე – 1 ჭიქა; ფქვილი – 1 სუფრის კოვზი; კაკაო – 1 ჩაის კოვზი.

მომზადება: კარაქი და შაქარი ავურიოთ. ცალკე მოვხარშოთ რძე ფქვილთან ერთად. გადმოვდგათ, გავაცივოთ. დავუმატოთ კაკაო. წავუსვათ ნამცხვარს და შევდგათ მაცივარში.

ასტროპროგნოზი

19 ივლისისთვის

ვერძი – თავს კომფორტულად და გაწონასწორებულად გრძნობთ. ფულის უანგარიშო ხარჯვას ერიდეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით, არ გადაიღალოთ. **ჯერო** – თქვენი ენამახვილობა და სილაღე გადამდებია. გარშემომყოფებს ხალისსა და ბედნიერებას ანიჭებთ. ახალი საქმის დაწყება გამართლებულია. **ტყუპები** – საზოგადოების სული და გული ხართ. ირგვლივ მყოფებს ახარებთ და სტიმულს აძლევთ. შემოთავაზებულ წინადადებას დაუფიქრებლად ნუ დათანხმდებით. **კირჩხიბი** – შესაძლოა, ახალ სამსახურში გადასვლა დააპიროთ. სიტუაცია კარგად გააანალიზეთ და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. **ლომი** – წინაღმდეგობრივი დღეა. პირად ცხოვრებაში ცვლილებები შეინიშნება. ზედმეტი ხელგაშლილობა მიუღებელია. **ქალწული** – დღის პირველ ნახევარში ჯანმრთელობას მიხედეთ. მთავარი სწორი კვებაა. კარგი იქნება, თუ მხოლოდ პირადი საქმეებით დაკავდებით. **სასწორი** – ინტიმური შეხვედრები სხვა დროისათვის გადადეთ. დღეს მაქსიმალური თავშეკავება და ტაქტი მოგეთხოვებათ. **ღრიანკალი** – თამამად გარისკეთ. იღბალი თქვენ მხარეს არის. საკმაოდ სარფიან შემოთავაზებას მიიღებთ. **მშვილდოსანი** – მარსის მფარველობის მეოხებით თქვენი ენერგეტიკული და სექსუალური პოტენციალი იზრდება. ბედი გწყალობთ. **თხის რქა** – ნებისმიერი საქმის შესრულებისას ყურადღებით იყავით. ნუ იჯიუტებთ. აქტიურობას ერიდეთ. **მერწყული** – რადიკალურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. კოლეგებთან ურთიერთობისას მეტი ტაქტი და ლოიალობა გამოიჩინეთ. პლანეტები გმფარველობენ. **თევზები** – ცდუნებას არ აჰყვეთ. ილუზიებისგან გათავისუფლდით. კარგი იქნება სუფთა ჰაერზე გასეირნება და დასვენება კომფორტულ, მყუდრო გარემოში.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 2. მეთოთხმეტე საუკუნის სპარსელი პოეტი; 3. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება; 5. პოეტის შთაგონების წყარო; 6. ვიწრო გასასვლელი ძნელად მისადგომ ადგილებში, ტყეში, ჭაობში, მთებში; 8. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 11. კუჭქვეშა ჯირკვალი; 13. აქროლადი ნივთიერების კონცენტრირებული ხსნარი; 14. საკანცელარიო ნივთი; 15. ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა საერთაშორისო სავაჭრო გარიგებაში; 19. ადმინისტრაციული ერთეული საბერძნეთში.

თარაზულად: 1. ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 4. ებრაელთა რელიგიური საყოფაცხოვრებო და სამართლის წესებისა და კანონთა კრებული; 7. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 9. მინის ლაბორატორიული ჭურჭელი; 10. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 12. ძველბერძენი დრამატურგი; 16. მხარე გერმანიაში; 17. მათემატიკური დებულება, რომლის მართებულობას ადგენენ მტკიცების გზით; 18. იტალიური ყველი; 20. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ნეაპოლის ყურეში; 21. პროვინციის მმართველი თურქეთში; 22. სპილენძის შენადნობი ნიკელთან.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. თევზაძე; 2. ბარისტერი; 3. საგარეჯო; 4. წუმწუმა; 5. ყურანი; 9. მაიამი; 11. დიორამა; 12. ჩაუაში; 14. ვექსილი; 18. ერაყი; 19. ცაიში.

თარაზულად: 4. წყნეთი; 5. ყაბალახი; 6. ვალსი; 7. ამნეზია; 8. ყირიმი; 10. ქანდა; 13. ძღვენი; 15. ტუნიკა; 16. ჯორი; 17. წათე; 20. სედანი; 21. გიურზა; 22. მაყვალი; 23. შეკელი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბაჩანა; 2. იანუსი; 3. რიეკა; 5. ბახი; 6. ქართლი; 8. ანყური; 11. რქაწითელი; 13. ავოკადო; 14. მარიოტი; 15. ჰამლეტი; 19. პაბი.

თარაზულად: 1. ბუდვაიზერი; 4. თამბაქო; 7. ჩაპლინი; 9. კარწახი; 10. კროსი; 12. გრუნდიგი; 16. დისკუსია; 17. კონიაკი; 18. ბიდსტრუპი; 20. ლორნეტი; 21. კოხი; 22. სერფინგი.

ნინელი ჭანკვეტაძე, გოჩა კაპანაძე და დავით საყვარელიძე დააჯილდოვეს

მსახიობი ნინელი ჭანკვეტაძე და რეჟისორები გოჩა კაპანაძე და დავით საყვარელიძე დააჯილდოვეს.

ცხინვალის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა გოჩა კაპანაძემ, სოხუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა დავით საყვარელიძემ და კინომსახიობთა თეატრის მსახიობმა, რეგიონული თეატრების ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელმა ნინელი ჭანკვეტაძემ საპატიო პრიზი – „თუმანიშვილის ვაშლი“ მიიღეს.

ისინი მიხეილ თუმანიშვილის ფონდის ხელმძღვანელმა მანანა ანთაძემ დააჯილდოვა.

ლედი გაგამ ანუკი არეშიძის კაბა მოირგო

მსოფლიოში ცნობილმა მომღერალმა ლედი გაგამ ქართველი დიზაინერის ანუკი არეშიძის კაბა მოირგო.

ფოტოები ინტერნეტში გავრცელდა და მას ბევრი მოწონება და დადებითი კომენტარი აქვს.

ლედი გაგამ შავი ტყავის კაბა შეარჩია, რომელიც ანუკიმ 2019 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციისთვის შექმნა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ლედი გაგა ქართველი დიზაინერების სამოსში პოზიორობს. მის გემოვნებაშია ავთანდილის, გიორგი ქებურიას, თამუნა ინგოროყვას, აკა ფროდიაშვილისა და დები გვანცა და ნინა მაჭარაშვილების მიერ შექმნილი კოსტიუმები.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ანკესზე წამოგებულმა თეთრმა ზვიგენმა მეთევზეები სამ კილომეტრზე ათრია

ამერიკის კალიფორნიის შტატის კუნძულ ალკატრასის მახლობლად მეთევზეების ჯგუფმა ანკესით თეთრი ზვიგენი დაიჭირა, რომელიც ასევე კაციჭამია ზვიგენის სახელითაცაა ცნობილი. თვითმხილველის მიერ ამ მოვლენის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა ტაბლოიდმა გამოაქვეყნა.

შვიდი მეთევზე სან-ფრანცისკოს ყურეში პატარა ზვიგენების საძებნელად და დასაჭერად იყო წასული. რაღაც მომენტში 42 წლის ჯოი გამესის ანკესზე მსხვილი თევზი წამოეგო. მან ჩათვალა, რომ ბრტყელთავა შვიდლაყუჩიანი ზვიგენი დაიჭირა.

მეთევზეებმა ღუზა ამოსწიეს, რათა დაჭერილ თევზს ნავთან ერთად ეცურა და შემდეგ ზედაპირზე ამოსულიყო. მხოლოდ ერთი საათის შემდეგ დაინახეს მეთევზეებმა, რომ ანკესზე კაციჭამია ზვიგენი იყო წამოგებული, ამ დროში მან ნავი მეთევზეებთან ერთად სამ კილომეტრზე ათრია.

– ნანახმა ყველანი შოკში ჩაგვაგდო. შვიდივე ვცდილობდით მის გემბანზე ამოთრევას, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში გამესმა. მან აღიარა, რომ ბავშვობიდან თევზაობითაა დაკავებული, მაგრამ პირველად დაიჭირა ასეთი სახეობის თევზი.

საბოლოოდ მეთევზეებმა ძუა გადაჭრეს და ზვიგენი გაათავისუფლეს. სან-ფრანცისკოს ტერიტორიაზე კაციჭამია-ზვიგენებზე თევზაობა კანონით აკრძალულია.

შოტლანდიაში ჭერიდან მსუქანი ძაღლი ჩამოვარდა

შოტლანდიის არგაილ-ენდ-ბიუტის ოლქის მცხოვრებმა ქალბატონმა თავისი ძაღლი კარადის თავზე მას შემდეგ აღმოაჩინა, რაც შინაური ცხოველი ჭერიდან ჩამოვარდა.

სამანტა სტირლინგი მშობლებთან იყო სტუმრად, როდესაც სახლის მეორე სართულიდან ხმაური მოესმა. მას ეგონა, რომ მისი ერთი წლის ინგლისური ბულდოგი, სახელად კივა, კიბეზე დაგორდა და სასწრაფოდ ზევით გაიქცა.

როგორც გაირკვა, ძაღლი სხვენში აძვრა, მის ზედმეტ წონას კი ჭერმა ვერ გაუძლო და ჩამოინგრა. გაოგნებულმა სტირლინგმა ძაღლს ვიდეო გადაუღო და სოციალურ ქსელში განათავსა. რამდენიმე დღეში ვიდეორგოლმა მილიონზე მეტი ნახვა და რამდენიმე ათასი კომენტარი მიიღო.

ახლა სტირლინგს მშობლების სახლში რემონტის გაკეთება მოუწევს. ასევე მან განაცხადა, რომ ძაღლს დიეტაზე დასვამს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სოფო ბათილაშვილი ბერკლიში სასწავლებლად გაემგზავრა

მუსიკალური შოუს „მხოლოდ ქართულის“ პირველი სეზონის გამარჯვებული სოფო ბათილაშვილი ბერკლიში სასწავლებლად გაემგზავრა.

– 1 წლის წინ „მხოლოდ ქართულში“ მკითხეს, რა იყო შენი ბავშვობის ოცნებაო. ეგრევე კოსმოსზე და ვაკუუმის „ხმაზე“ ბაასობა გავაჩაღე. აი, დედამიწა რომ პატარა ჩანს იქიდან და უხმობის ხმა რომ დიდი ხმაურია. ანაზდად მისმინეს და ბოლოს მითხრეს, ეგო კიო, კარგად დაპღანეო, მაგრამ, კიდეო, რა ოცნება გქონიაო. ჰოდა, ბერკლის მუსიკალური კოლეჯი ვუპასუხე და ისიც დავძინე, რომ ფულის შეგროვება უკვე დაწყებული მქონდა – 50 ლარი და ნაღდი.

ფინალის დღეს ავერსმა ბერკლის ზაფხულის პროგრამა სრულად დამიფინანსა!

1 წლის მერე მე და ჩემი თავი ვსხდებით თვითმფრინავში და მალე გავიგებ, ჩემი ოცნება 20-ნება იყო თუ 100-ნება.

ჩემი ჯერ კიდევ შოკირებული მადლიერება და სიყვარული ყველას, ვინც ამ ყველაფერში მონაწილეობა მიიღო. დაფინანსება ერთია, თან გადაყოლა – მეორე.

ერთიც იყო და მეორეც. მე რაღა დამრჩენია, მუსიკა და მუსიკის მუსიკა.

მკერდგაშიშვლებულმა ქალმა ოჯახური ფოტოსურათი გააფუჭა

ამერიკის ტეხასის შტატში ოჯახმა გარნერის პარკში ერთობლივი ფოტოსურათი გადაიღო და შემდეგ მასზე მკერდგაშიშვლებული ქალი შენიშნა.

მონიკა დევილამ განაცხადა, რომ მის მეუღლეს არც ისე დიდი ხნის წინ ბებია გარდაეცვალა და მგლოვიარე იყო. მის გასამხნევებლად ოჯახი ადგილობრივ პარკში გაემგზავრა. სეირნობის დროს ქალმა ახლობლებს სამახსოვრო ფოტოსურათი გადაუღო. მოგვიანებით, როდესაც ის სურათებს ათვალიერებდა, კედლის უკან მიმალული უცნობი ქალი შენიშნა, რომელსაც მაისური აეწია და ამით ფოტოსურათი გააფუჭა.

– მკერდი, ძუძუსთავები, სრულიად მოშიშვლებული, – აღნიშნა დავილამ, – ჩვენ ვცდილობთ, მეხსიერებას შემორჩეს ნათელი მომენტები, მაგრამ სრულიადაც არ გვსურს, რომ ქალის შიშველი მკერდი მათ ნაწილად იქცეს. ქალმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ხულიგნის გამოხდომას თვალს ახალგაზრდა მამაკაცი ადევნებდა. მან უცნობის პოვნისა და მისი პასუხისგებაში მიცემის სურვილი გამოთქვა. ამისთვის მან ფოტოსურათი ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსა.

ერთგული ძაღლი პატრონის დაღუპვის ადგილს წელიწად-ნახევარი არ მოშორებია

საბერძნეთის ქალაქ ნავპაკტში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ძაღლს, რომელიც უკვე წელიწადნახევარზე მეტია, თავისი პატრონის დაღუპვის ადგილს არ შორდება, თავშესაფარი გაუკეთეს.

2017 წელს ძაღლის პატრონს, 40 წლის ჰარისს, ბეტონშემრევი მანქანა დაეჯახა. ავარიის დღიდან გზის პირას დადგმულ სამახსოვრო ნიშანთან მისი თეთრი ძაღლი დამკვიდრდა. ის იმ ადგილს არ ტოვებს, ხოლო სიცხიან ამინდში თავს იქვე ახლოს, ბუჩქებს აფარებს.

უცნობია, თუ როგორ გამოაღწია ჰარისის სახლიდან მისმა ძაღლმა და 12 კილომეტრი გამოიარა პატრონის დაღუპვის ადგილამდე.

თვითმხილველებმა ძაღლს ბერძენი ხატიკო შეარქვეს. ზოგიერთმა მისი შეკედლებაც ცადა, მაგრამ ის ყოველთვის დაღუპული პატრონის პატივსაცემად დადგმულ ნიშასთან ბრუნდება. ადამიანები მას ყურადღებას არ აკლებენ და საკვებითა და წყლით ამარაგებენ.

მამაკაცს ბანაობა სიცოცხლის ფასად დაუჯდა

ინდოეთის ოდიშის შტატში ბხიტარკანიკას ეროვნული პარკის მახლობლად მდებარე სოფლის მცხოვრები 45 წლის მამაკაცი ნიანგის თავდასხმის შედეგად დაიღუპა.

ნიანგმა მამაკაცს იმ დროს სტაცა პირი, როდესაც ის მდინარეში ბანაობდა. სოფლის მცხოვრებლებმა განგაში ატეხეს და მის გადარჩენას შეეცადნენ, მაგრამ მტაცებლის შეჩერება ვერ შეძლეს. წლის დასაწყისიდან ის მეექვსე ადამიანი გახდა, რომელიც ნიანგებმა ეროვნული პარკის შემოგარენში იმსხვერპლეს.

– ბოლო თვეებში ბევრი ნიანგი გამოდის პარკის ტერიტორიიდან და მდინარეებში, ნაკადულებსა და წყალსატევებში მიდის კვერცხის დასადებად, – განმარტა სატყეო მეურნეობის წარმომადგენელმა ბიმალ პრასანა აჩარიამ, – ჩვენ არაერთხელ გავაფრთხილეთ სოფლების მცხოვრებლები, რომ ბხიტარკანიკას ეროვნული პარკის მახლობლად მდებარე მდინარეებსა და წყალსატევებს მოერიდონ, ვინაიდან ამ დროს ისინი სავსეა ნიანგებით.

❖ ❖ ❖

ამერიკის ფლორიდის შტატის სანაპირო ქალაქ დესტინში მამაკაცი ზღვაში ბანაობის დროს სასიკვდილო ბაქტერიისგან დასნებოვნდა და დაიღუპა.

40 წლის შერილ ბენეტ ვეიგულმა გაიხსენა, თუ როგორ სტუმრობდნენ მასთან მისი მშობლები, 66 წლის მამა დეივ ბენეტი და დედა. სწორედ იმ დროს მის ოლქში გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ 12 წლის გოგონას ზღვაში ბანაობის დროს ფეხზე არსებული ნაიარევიდან სახიფათო ბაქტერია შეეყარა. პლაჟზე წასვლამდე ქალმა მშობლების სხეულზე საგულდაგულოდ შეამოწმა, ხომ არ ჰქონდათ რაიმე ნაიარევი.

– მამას ღია ჭრილობები არ ჰქონია. მას ხელებსა და ფეხებზე რამდენიმე უკვე შეხორცებული ნაკაწრი ეტყობოდა, – იხსენებს ვეიგული, – ჩვენ უსაფრთხოების ზომებს ვიღებდით და მაშინ ვფიქრობდი, რომ ყოველმხრივ დაცულები ვიყავით.

პარასკევი მთელი დღე ოჯახმა ზღვის ნაპირზე გაატარა, შემდეგ კი ბენეტი გვიან ღამემდე ფილმს უყურებდა.

მეორე დღის დილით, ზღვაში ბანაობიდან 12 საათის შემდეგ, ბენეტი მაღალმა ტემპერატურამ, მთელ სხეულში კრუნჩხვებმა გააღვიძა. მან გადაწყვიტა მშობლიურ ტენესის შტატის ქალაქ მემფისში დაბრუნებულიყო და იქ მიეკითხა ექიმისთვის. გზაში მამაკაცის მდგომარეობა სწრაფად გაუარესდა. ის ფეხებში მწვავე ტკივილებს უჩიოდა. იმავე დღის საღამოს წყვილმა დახმარებისთვის საავადმყოფოს მიმართა.

ექიმებმა მამაკაცი გასინჯეს და ზურგზე ანთება აღმოუჩინეს. შვილის თხოვნით მამაკაცის მეუღლემ ექიმებს აუხსნა, რომ ბენეტმა ფლორიდაში ზღვაში იბანავა და, როგორც ჩანს, ინფექცია იქ შეეყარა.

ექიმებმა ივარაუდეს, რომ მამაკაცს სტაფილოკოკი ჰქონდა და ანტიბიოტიკების წვეთოვანი დაუყენეს. ბენეტი მწვავე ტკივილებს განიცდიდა, ხოლო ზურგზე გაჩენილი ლაქა სულ უფრო უდიდდებოდა. ის რანიმაციულ განყოფილებაში გადაიყვანეს. კვირას ბენეტი გარდაიცვალა.

ესპანეთში ვირები ზებრებად გადაღებეს

ესპანეთში საფარი-წვეულების მონაწილეებმა ვირებს შავი ზოლები დაახატეს და ამგვარად ზებრებად შენიღბეს. ამის ამსახველი ვიდეო ადგილობრივმა მცხოვრებმა ანგელ ტომას ჰერერა პელაეზმა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

წვეულება ქალაქ კადისში გასული კვირის ბოლოს გაიმართა, თუმცა ინფორმაცია ახლახან გავრცელდა. კადრებში ჩანს, თუ როგორ ბაღახობს ორი ზოლებიანი ვირი მინდორში.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ცხოველები დილით ადრე მიიყვანეს მინდორში, იქვე შეღებეს და გაუშვეს. მთელი დღე ზებრებად გადაღებილმა ვირებმა მცხუნვარე მზის გულზე გაატარეს ისე, რომ ჩრდილისთვის თავის შეფარების საშუალება არ ჰქონიათ, საფარი-წვეულების მონაწილეები კი მათ იქვე ახლოს მდებარე ბარიდან აკვირდებოდნენ.

თვითმხილველებმა ადგილობრივ ცხოველთა დაცვის სტრუქტურებში ოფიციალური საჩივარი შეიტანეს აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით. ამ დროისთვის ფაქტების შემოწმება მიმდინარეობს.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

19 ივლისისთვის

აშშ დოლარი — 2.8714

ევრო — 3.2191

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5832

100 რუსული რუბლი — 4.5670

ამინდის პროგნოზი 19 ივლისისთვის



„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

16 ივლისიდან

ელეონორ პორტერი

პოლიანა

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი



19 ივლისიდან

რევაზ მიშველაძე

ციყვი ბორბალში

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

„ფორსაჟი 9“-ის საქართველოში გადაღებებისთვის 31 მილიონი ლარი დაიხარჯება



ცნობილი ჰოლივუდური ფილმის „ფორსაჟი 9“-ის საქართველოში გადაღებებისთვის 31.358.162 ლარი დაიხარჯება.

ოფიციალური დოკუმენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის მიერ უკვე ხელმოწერილია.

ფილმის გადაღებები პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ ფარგლებში განხორციელდება. საქართველოში გადაღებებს ქართული საპროდიუსერო კომპანია „ენკენი ფილმს ფფ9“ უზრუნველყოფს.

ფილმის საქართველოში გადაღება ჰოლივუდის მაღალი რანგის წარმომადგენლების ვიზიტის დროს გადაწყდა, რომლებიც საქართველოს 26 აპრილიდან 2 მაისამდე სტუმრობდნენ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

დედოფალი მოწყენილობისგან ღამურების დაჭერით ერთობა

შოტლანდიის ბალმორალის ციხე-სიმაგრეში საზაფხულო დასვენების დროს დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ II-მ გადაწყვიტა, ღამურების დაჭერით გართულიყო.

ეს არსებები მრავალი წელია, ბალმორალის ციხე-სიმაგრის ბნელ, ძნელად მისადგომ ადგილებში ბინადრობენ.

– მათი თავიდან მოშორება შეუძლებელია, – განმარტა ინგლისელმა ჟურნალისტმა ადამ ჰელიკერმა, – ამის გაკეთება უამრავ მოსამსახურეს სურს, ვინაიდან ციხე-სიმაგრეში, ფაქტობრივად, ყველგან შეხვდებით მათ ფეკალიებს. მაგრამ მათ კანონი იცავს და ამიტომ მათი გასახლება არ შეიძლება.

დროდადრო მოსამსახურეები თავს იყრიან საცეკვაო დარბაზში და ღამურებზე ნადირობას მართავენ. ელისაბედ II-ის რჩევით, ისინი ღამურებს პეპლის საჭერი ბადეებით იჭერენ, დედოფალი კი მათ ამხნევებს. შემდეგ 93 წლის დედოფალი ღამურებს ქუჩაში უშვებს, თუმცა ფანჯრებს ღიას ტოვებს, რათა უკან დაბრუნება შეძლონ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ბიჭი გოგოს ეკითხება:

– გოგონი, შემთხვევით ბლუთუსი ხომ არ გქვიათ?

– საიდან მოიტანეთ?

– ჩვენ შორის რაღაც კავშირს ვგრძნობ...

•••

– გამარჯობა, თქვენ დარეკეთ სასწრაფოში. თქვენი ზარი ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია.

– თუ თქვენ ინფარქტი გაქვთ – დააჭირეთ ღილაკს ერთი.

– თუ თქვენ ინსულტი გაქვთ – ღილაკი ორი.

– თუ ეპილეფსიის შეტევა – ღილაკი სამი.

– ან დაელოდეთ ოპერატორს.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– როგორაა შენი საქმეები?

– როგორც იქნა, ერთი მავნე ჩვევისგან გავთავისუფლდი.

– მოწევას თავი დაანებე?

– არა, ცოლს გავშორდი.

•••

ქალაქში პირველად ჩასული მამაკაცი პატარა ბავშვს ეკითხება:

– დიდი ხანია წვიმს?

– არ ვიცი, ჯერ მხოლოდ ექვსი წლის ვარ...

•••

ქმარს გაშორებულ ზღვის სანაპიროზე მიმავალ ქალს ეშმაკი გამოეცხადა და ეუბნება:

– შენ ნებისმიერ სამ სურვილს შეგისრულებ, მხოლოდ გაითვალისწინე, რომ რასაც შენთვის ისურვებ, შენი ყოფილი ქმარი ორჯერ მეტს მიიღებს.

– კარგი, პირველი, 10 მილიონი დოლარი მინდა.

მას ხელში 10 მილიონი დოლარის ქვითარი ჩაუვარდა.

– მეორე, მაგარი ვილა მინდა, ზღვის სანაპიროსთან.

მაშინვე გაჩნდა ვილა, ხოლო ქალის ხელში მისი გასაღები აღმოჩნდა.

– ახლა შენ ქმარს 20 მილიონი დოლარი და ორი ვილა აქვს, – შეახსენა ეშმაკმა.

– იცი, სულ მინდოდა, რომ დიდი, ფუმფულა მკერდი მქონოდა...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნეიმარი, შესაძლოა, იუვენტუსში გადავიდეს

ნეიმარის ბარსელონაში ტრანსფერი, სავარაუდოდ, არ შედგება, რადგან პსჟ 300 მილიონს ითხოვს და ბარსელონამ ანტუან გრიზმანი დაიმატა, ამიტომ კატალონიურ გუნდში ნეიმარის ადგილი აღარ არის.

ნეიმარის მამა ტურინში იმყოფება, სადაც იუვენტუსთან მოლაპარაკებებს გამართავს და, შესაძლოა, ნეიმარი იუვენტუსში ვიხილოთ. თუმცა მთავარი დაბრკოლება ნეიმარის სატრანსფერო ფასია.

რეალი ისკოს 80 მილიონად ყიდის

მადრიდის რეალმა თავისი ნახევარმცველის, ისკოს გაყიდვა გადაწყვიტა და მის ტრანსფერში მადრიდელები 80 მილიონს ითხოვენ.

ისკოს შეძენა რამდენიმე ინგლისურ გუნდს სურს, თუმცა კონკრეტული წინადადება რეალს ჯერ არ მიუღია.

რამდენიმე წლის წინ ისკოს შეძენით იუვენტუსი იყო დაინტერესებული, მაგრამ მაშინ ესპანელმა ფეხბურთელმა რეალში დარჩენა ამჯობინა.

ამჯერად, როგორც ჩანს, ისკოს რეალის დატოვება მაინც მოუწევს, რადგან ის ზიდანის გეგმებში არ შედის.

ხოსეპ გვარდიოლა: „ლეროი სანე სიტიში დარჩება“

მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ ლეროი სანეზე ისაუბრა და თქვა, რომ სანე აუცილებლად სიტიში უნდა დარჩეს და ის სხვა გუნდში არ გადავა. სანეს ყიდვით ყველაზე მეტად ბაიერნია დაინტერესებული:

– სანე შესანიშნავი ფეხბურთელია და არ მიკვირს, რომ მისი შეძენა ბევრ გუნდს სურს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ის ჩვენთან ბედნიერია და სხვა კლუბში არ გადავა. მინდა, რომ ის სიტიში რაც შეიძლება დიდხანს დარჩეს.

მალკომი, სავარაუდოდ, ბარსელონას დატოვებს

ბარსელონის ბრაზილიელი შემტევი მალკომი, სავარაუდოდ, გუნდს დატოვებს, რადგან გრიზმანის მისვლის შემდეგ მას კიდევ უფრო ნაკლები სათამაშო დრო ექნება.

ბარსელონა მისი გაყიდვის წინააღმდეგი არ არის, თუმცა მის ტრანსფერს 60 მილიონად აფასებს და ეს თანხა, შესაძლოა, არავინ გადაიხადოს.

მალკომის შეძენით რამდენიმე ინგლისური კლუბია დაინტერესებული.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ქალაქი-მუზეუმი იტალიაში; 2. ცალკე მდგომი უძრავი საგანი ადგილმდებარეობაში გასარკვევად; 3. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 4. ხვიარა მცენარეებით გაფორმებული დეკორატიული საჩრდილობელი ბაღებში, პარკებში; 5. მთიბავთა შრომის სიმღერა ფშავხევსურეთში; 9. სამგზავრო სარკინიგზო ვაგონის ქართული სახელწოდება; 11. შენობის ფასადის მოპირკეთება უხეშად დამუშავებული ზედაპირის მქონე ქვებით; 12. ატმოსფერული ნალექი; 14. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია; 18. ფილოსოფიური მოძღვრება ზნეობისა და მორალის შესახებ; 19. მტრედის ბარტყი.

თარაზულად: 4. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 5. სასტუმრო გაგრაში; 6. საჭმელი სოკო; 7. პოპულარული ტყე-პარკი ვენაში; 8. ვაშლის ქართული ჯიში; 10. მწირი, მცირემოსავლიანი ნიადაგი; 13. ნორვეგიელი დრამატურგი; 15. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 16. კუნძული მდინარე სენაზე, პარიზის ისტორიული ცენტრი; 17. კომბინაცია პოკერში; 20. საჭადრაკო ამოცანა; 21. მეცნიერების, ხელოვნების მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 22. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 23. გაზეთი, რომელიც ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოდიოდა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა